ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის ოთხშაბათობით №42 (1743) 10 - 16 ნოემბერი, 1999 წ. ● ფასი 50 თეთრი

# გიხაროდენ, გიხაროდენ და გიხაროდენ?!





7%-იანი ბარიერის ინიციატორი ეროვნულ-დემოკრატი ირინა სარიშვილი-ჭანტურია თავად ვერ შეწვდა „მეხვს“ და მაღლა ახტომის მოსურნემ სხვისთვის გათხრილ სამარეში ამოჰყო თავი. მიუხედავად იმისა, რომ 4 წლით გამოეთხოვა პარლამენტის მყუდრო სავარძელს, ომახიანი ქალბატონი შეცდომას არაფრის დიდებით არ აღიარებს და მოქალაქეების „ანკესჩაყლაპული“ მოწინააღმდეგის წისქვილზე რომ ასხამდა წყალს, საკუთარ თავს მიღწევათა შორის უდიდეს მიღწევად ჩაუთვალა. სხვა რა გზა დარჩენია ედპ-ს ლიდერს. ახლა იმის აღიარება, რომ 7%-იანი ბარიერისთვის მიზანმიმართული ბრძოლა შეცდომა იყო და ედპ გააცურეს ქვეყნის ღალატის აღიარება იქნება და მსგავს შემთხვევაში არჩევნების შედეგებზეც პასუხისმგებლობა ამ უკანასკნელმა უნდა იტვირთოს. ეს კი ედპ-ს საბოლოო განადგურება იქნებოდა. საკუთარი პარტიის დახმარებას კი „ორი სიტყვით“ ხომ არ მოახდენს ქალბატონი ირინა?

## სარიშვილი სხვისთვის გათხრილ „პოლიტიკურ სამარეში“ თავად ჩავარდა



ხელისუფლებამ „ბრწყინვალე“ გამარჯვებით საბოლოოდ „დაამტკიცა“, რომ ეროვნულ ძალებს მოსახლეობა გაცილებით ნაკლები ნდობითა და პატივით ეკიდება (?!). პარლამენტში უმრავლესობით მოსულ „მოქალაქეებს“ მასიური გაყალბების გარდა არჩევნებში გამარჯვებების ათასგვარი გეგმა და მექანიზმი ჰქონდათ შემუშავებული. მათი მხრიდან 40-მდე მაჟორიტარი კანდიდატის გაყვანა „განსაცვიფრებელი“ მუშაობის შედეგს გვიჩვენებს (რომ არაფერი ვთქვათ არჩევნების საბოლოო შედეგებზე), მაგრამ ის, რაც უკვე არჩევნების შემდეგ ხდება, ყოველგვარი ზომიერების ფარგლებს სცდება. აღმოჩნდა, რომ არჩევნების მეორე ტურში გასული არასასურველ მაჟორიტარ კანდიდატთა „თავიდან მოშორების“ უებარ საშუალებას ძველი საქმეების გამოქექვა და დეპუტატობის რეალური [illegible]ტის კრიმინალად გამოცხადება წარმოადგენს.



ახლა, როცა გენპროკურატურა ფრიდონ ინჯიას დაპატიმრებაზე „ჩალიჩობს“ (ძველი „ცოდვები“ გაუხსენეს, დეპუტატობის კანდიდატები კი იმუნიტეტით სარგებლობენ და სამართალდამცავ ორგანოებს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თანხმობის გარეშე მათი დაკავების უფლება არა აქვთ), „დემოკრატიული“ არჩევნების კულისებს მიღმა უნებურად შევიხედეთ!

## ინჯიას „ცოდვები“ ცოტა ადრე ან ცოტა გვიან რომ „გაექექა“ ხელისუფლებას, უპატიოსნებაში ბრალს ვერ დავდებდით...

ინჯიას „ცოდვები“ ცოტა ადრე ან გვიან რომ მოეჰგონებოდა ხელისუფლებას, უპატიოსნებაში ბრალს ვერ დავდებდით. ახლა კი... იმის თქმაც შეგვიძლია, რომ თურმე „მოქალაქეებს“ ცალკეული კანდიდატებისაც სიკვდილივით ეშინიათ. მაგრამ, როგორც ჩანს, არც ეს არის მთავარი! ყველაზე მნიშვნელოვანი ის გახლავთ, რომ, როგორც ბოლო მოვლენებმა გვიჩვენა, ცსკ-გან ყველაფერს უნდა ველოდოთ.

საეროოდაც, მტყუან-მართალის გარჩევა ამიერიდან შეუძლებელი გახდება, ძალა ხომ აღმართს ხნავს!

ელექტრონული ვერსია Http:// www.opentxt.org.ge/sakartvelo

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პრესკონფერენცია

# „იმ მარჯვენით, რომლითაც ქართველმა №1 შემოხაზა, პირჯვარი როგორ უნდა გადაიწეროს"

დაძაბული საარჩევნო მარათონის შემდეგ ლეიბორისტული პარტიის ლიდერი კვლავ მხნედ და ოპტიმისტურად გამოიყურება. საამისო მიზეზი ნამდვილად არსებობს. იგი შეტევაზე გადადის, რადგან საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს. კერძოდ, საუბარია პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილ №363-ე ბრძანებულებაზე, რომელიც ამა წლის 8 ივნისს ყოფილა ხელმოწერილი და რომლითაც გაუქმდა სამხარეო ადმინისტრაციები. თუმცა ამ ბრძანებულების არსებობა მხოლოდ არჩევნების შემდეგ გახდა ცნობილი და ისიც ლეიბორისტთა შემწეობით.



– მხარეები აღარ არსებობს. პრეზიდენტმა მოვლენებს დაასწრო და ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლო ჩვენი სარჩელის განხილვას შეწყვეტს (რომელიც ადრევე ჰქონდათ შეტანილი).

ნათელაშვილი, აგრეთვე, სამხარეო სტრუქტურების გაუქმებას მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის მეორე სარჩელს შეიტანს საკონსტიტუციო სასამართლოში:

„ეს ჩვენი პარტიის გამარჯვებაა. ისე, მადლობას ვუხდით პრეზიდენტს ჩვენი მოთხოვნის გათვალისწინებისათვის. ბოლომდე ვიბრძოლებთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის."

არჩევნებთან მიმართებაში, ლეიბორისტთა ლიდერმა აღნიშნა, რომ 31 ოქტომბერს ტრაგიკული არჩევანი გაკეთდა. მოხდა ტოტალური გაყალბება, განსაკუთრებით ქვემო ქართლსა და აჭარაში.

– მიდიან ბათუმში, შედიან პრეზიდენტთან და ცდილობენ საქმის ჩაწყობას. მიდის მოლაპარაკებები მოქავშირს, ბლოკძინებასა და მრეწველებს შორის, – ამტკიცებს ნათელაშვილი და აპირებს სვლას სტრასბურგამდე, რათა მსოფლიოს დაანახოს შავი და თეთრი, დაანახოს ის, რომ ახალ პარლამენტში მოსულია არა ხალხის, არამედ პოლიციისა და „უშიშროების მიერ არჩეულები.

ლეიბორისტთა ლიდერის თქმით, თუ შევარდნაძე მას სამთავრობო სავარძელს შესთავაზებს, ის არ დათანხმდება – პრეზიდენტი ამავე დროს პარტიის თავმჯდომარეა. მე ჩემი კოლეგის ხელქვეითი ვერ გავხდები.

დუშეთის რაიონი, ბატონ შალვას განაცხადით, ყოველთვის მას თვლიდა დეპუტატად. ამიტომ სრულებით არ აპირებს ამ რაიონის მიტოვებას, მითუმეტეს ამჯერად, როცა მას ქურდები დაეპატრონენ.

– მათ გაყიდეს ბაზალეთი, იყიდეს ინტურისტი, აშენებდნენ თურქულ უნივერსიტეტს, რომ იქ მუსულმანები კარგად აღეზარდა. აი, ვინ არის აგენტი. მათ წინაპართა საძვალეზე დაწარხვა არ ელირსებათ.

ნათელაშვილს, წარუმატებლობის მიუხედავად, ბოლომა არ ახრჩობს, მაგრამ მაინც აცხადებს: – იმ მარჯვენით, რომლითაც ქართველმა №1 შემოხაზა, პირჯვარი როგორ უნდა გადაიწეროს.

ირმა ურბნელაშვილი

# რომის პაპის საქართველოში ვიზიტი და მართლმადიდებლური ეკლესია

რომის პაპის ფენომენი რომ უძლიერესად ანგარიშგასაწევი პოლიტიკური ძალაა, ამას არც საზოგადოებრიობა უარყოფს და არც საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას ეპარება ეჭვი, თუმცა იოანე პავლე II საქართველოში სტუმრობამ მაინც გამოიწვია არნახული აჟიოტაჟი.



საწუხაროდ, მავანთა გაღიზიანების მიზეზი ამ საკითხის მიმართ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მყარი დამოკიდებულება აღმოჩნდა. იმის არდავიწყება, რომ მართლმადიდებლობა ერთადერთი ჭეშმარიტი რელიგიაა და ისტორიულად საქართველოს გადარჩენის უმნიშვნელოვანესი ელემენტი, საქართველოს ეკლესიის წინამძღვარს „ცოდვად" ჩაუთვალეს და ანტიევროპულ პოზიციად „მოუნათლეს".

სარწმუნო წყაროებიდან ვიცით, მართლმადიდებლური ეკლესია პაპის საქართველოში ჩამობრძანების წინააღმდეგი სულაც არ ყოფილა, უფრო მეტიც, პატრიარქმა ამ ვიზიტის უდიდეს მნიშვნელობაზე ხმამაღლა ისაუბრა თავის მრევლთან, თუმცა სარწმუნოების დაცვის თვალსაზრისით ერთობლივი წირვის ჩატარება გამორიცხა, რასაც აგრერიგად გულმოდგინედ ესწრაფოდნენ ეკუმენიზმის მომხრენი.

აი, ეს გახდა მიზეზი იმ მკაცრი და უმიზეზო კრიტიკისა, რომელიც გამუდმებით გაისმის პრესა-ტელევიზიის საშუალებით ამ საკითხთან დაკავშირებით.

საკუთარის უარყოფა, სიძველეთა მივიწყება და სხვათა მიმბაძველობა. როგორც ჩანს, ამ ბოლო დროს „ყოველივე ეროვნულის შემადგენელ ნაწილად და განმსაზღვრელ ატრიბუტად იქცა".

თუმცა, გასაკვირი არაფერია! პარადოქსებით სავსე ჩვენს ქვეყანაში ხომ ზოგჯერ შავი თეთრზე ბევრად უფრო თეთრია.

მანანა ლობჟანიძე

# გიხაროდეთ, გიხაროდეთ და გიხაროდეთ?!.

ერთი, არჩევნებიც გადავაგორეთ, თუ ამას არჩევნები შეიძლება დავარქვათ. ზოგმა აირჩია, ზოგს ძალით აარჩევინეს, ზოგს არც ჰკითხეს – მის მაგივრად გააკეთეს არჩევანი.

მოკლედ, თუ ევროპელ დამკვირვებლებსა და მოქავშირეებს დავუჯერებთ, არჩევნები შედგა. თუ გარეთ დარჩენილი პარტიების ლიდერებს და მათ გულშემატკივრებს ვკითხავთ, არჩევნები არც ყოფილა, ტოტალურ გაყალბებას ჰქონდა ადგილიო, გვიპასუხებენ.



ასეა თუ ისე, შევარდნაძის შიში არ გამართლდა. საპარლამენტო გადატრიალება არ შედგა. პარლამენტში მოქალაქეთა აბსოლუტური უმრავლესობა მოვიდა... თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველა მათი წინასაარჩევნო დაპირება ყალბი აღმოჩნდა და ამომრჩევლებმაც ეს მაშინვე, არჩევნების მეორე დღესვე იგრძნეს.

ხელისუფლებამ საქმე, რა თქმა უნდა, სათავისოდ გაიკეთა. გულიც საგულეში დაიგულეს. პრეზიდენტიც ცოტათი მოლბა. შეწყდა ათასგვარი ცილისწამებისა თუ ბრალდებების ნიაღვარი „აღორძინებისა" და მისი ლიდერის მისამართით, თუმცა აქაიქ, სადაც მოქავშირის მაჟორიტარი კანდიდატის გამარჯვებას საფრთხე ემუქრება, კვლავ ძალაშია ამომრჩეველზე და თავად მოქავშირის კანდიდატურების რეალურ მეტოქეებზე ზეწოლის მექანიზმები. მაგალითი გნებავთ? ავიღოთ თუნდაც მარტვილის რაიონი, სადაც, როგორც ამბობენ, ფრიდონ

გაგრძელება მე-4 გვ

## ჩეჩნეთი

# დაბომბვის ხმაური საქართველომდე აღწევს

ჩრდილო კავკასიაში ქვემეხების ხმა და საბრძოლო თვითმფრინავებით დაბომბვის ხმაური ისმის სამხრეთ კავკასიაში, განსაკუთრებით კი საქართველოს იმ რეგიონებში, რომლებიც ჩეჩნეთს უშუალოდ ესაზღვრება. რა ხდება ჩეჩნეთში? რა იწვევს საბრძოლო ოპერაციებს, რომელთა მიმდინარეობამ მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიქცია? ამ კითხვებზე პასუხით შევეცდებით მეტ-ნაკლებად დავაკმაყოფილოთ მკითხველის დაინტერესება, გავაანალიზოთ შექმნილი ვითარება და ვაჩვენოთ შესაძლო განვითარების ზოგიერთი პერსპექტივა ჩვენი ეროვნული ინტერესების ჭრილში.

დავიწყოთ იმით, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთს ჩამოსცილდნენ ეგრეთ წოდებული მოძმე რესპუბლიკები, მათ დამოუკიდებელი განვითარების გზა აირჩიეს. ჯერი დადგა იმისაც, რომ რუსეთის ფედერაციაში გაერთიანებულ ავტონომიურ რესპუბლიკებსაც გაესინჯათ დამოუკიდებლობის გემო. ამ მხრივ ერთ-ერთი პირველი ნაბიჯები ჩეჩნეთმა (იჩქერიამ) გადადგა. რუსეთის ხელისუფლება ცეცხლითა და მახვილით შეეცადა ხალხის მისწრაფების ჩახშობას. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლამ დიდძალი სიცოცხლე შეიწირა, მაგრამ ჩეჩნეთმა საბოლოოდ ვერც რუსეთის ტერიტორიული მთლიანობის მტკიცედ შემოზღუდული ზღუდეები დაარღვია და ვერც მსოფლიო აღიარება ჰპოვა. რუსეთი ჩეჩნეთთან ბრძოლაში დამარცხდა. ყოველ შემთხვევაში დასახული მიზნები ბოლომდე ვერ მიიყვანა და ხელსაყრელი მომენტების განვითარებას დაელოდა. ამ გარემოებამ კიდევ უფრო შელახა რუსეთის ისედაც დაკნინებული ძველი, საბჭოეთის დროინდელი სახელი. შეკოწიწებულ დსთ-ის მეშვეობით ვერაფერს მიაღწია გავლენის სფეროების შენარჩუნების თვალსაზრისით. უფრო მეტიც, ეკონომიკურ კრიზისს თავი ვერ დააღწია. ამას ახლა ზედ ერთვის პოლიტიკური კრიზისიც: მოახლოვებული საპრეზიდენტო არჩევნები, დაძაბული, გაუთავებელი დებატები სახელმწიფო სათათბიროში.

შეიარაღებული ძალების ჩეჩნეთში დამარცხებამ ფორმიანი რუსის ცნობიერებაში შურისძიების გრძნობა გააღვივა. დროდადრო ილვიძებს რუსი ხალხის დამპყრობლური ხასიათის ბუნება. იგი თითქოს საბაბს ეძებს, რომ ხასიათის ეს თავისებურება მთელი სისრულით გამოვლინდეს.

წელს ზაფხულში ვაჰაბიტების დიდმა დაჯგუფებამ მოიყარა თავი დაღესტანში. მათ თავიანთი მიზნები ჰქონდათ ჩრდილო კავკასიაში, რათა რადიკალურ-ისლამისტური სახელმწიფო ჩამოეყალიბებინათ. რუსეთი, რა თქმა უნდა, ვაჰაბიტებს წინ აღუდგა. ბოლოს ისინი საერთაშორისო ტერორისტების სახელით მონათლეს და დაღესტნიდან ჩეჩნეთის მხარეს გამოდევნეს. ტერორისტების განადგურების მოტივით საჰაერო დაბომბვებიც მნიშვნელოვნად გააძლიერეს.

ჩეჩნეთის ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებებმა სულ სხვა ხასიათი მიიღო. ჩეჩნები, რა თქმა უნდა, ბოევიკებთან ერთად ნახევრად დამოუკიდებლობის მონაპოვარებს იცავენ, შურისძიებით შეპყრობილი რუსები კი ინტენსიურად ბომბავენ ჩეჩნეთის სოფლებსა და ქალაქებს. ბომბებმა არ იციან ტერორისტი და მშვიდობიანი მოსახლე, ამიტომ მსხვერპლი ძალზე დიდია სრულიად უდანაშაულო ადამიანთა შორის. ამ გარემოებამ აღაშფოთა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ადამიანები. რუსეთის ხელისუფალნი, პოლიტიკოსები, გენერლები დაჟინებით იმეორებენ, რომ ტერორისტებს ვებრძვითო, მაგრამ შეუძლებელია მთელი ხალხი, თუნდაც მისი უმეტესობა ტერორისტად იქნას მიჩნეული ან ამ გაუმართლებელი მოტივირებით გზა გადაეკეტოთ საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად. ბოლო დროს ინგუშეთისაკენ მიმავალი გზა გადაუკეტეს ჩეჩენ ქალებს, ბავშვებს, მოხუცებს.



ლტოლვილთა გარკვეულმა ნაწილმა საქართველოსაც მოაშურა. ქართველებს და ჩეჩნებს ისტორიულად მეზობლური ურთიერთდამოკიდებულება გვაქვს. მით უფრო, პანკისის ხეობაში ჩეჩნებიც ცხოვრობენ კომპაქტურად რამდენიმე სოფელში. ჩეჩენ ლტოლვილებს საქართველოში გადმოსვლის შეფერხებები არ ჰქონიათ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყანას 300 ათასამდე ადგილგადანაცვლებული მოქალაქე ჰყავს აფხაზეთიდან და ცხინვალის ზონიდან. ეს მაშინ, როცა ჩეჩენთა ერთმორწმუნე აზერბაიჯანი თავს არიდებს ლტოლვილთათვის თავშესაფრის მიცემას. ძნელი სათქმელია, თუ რომელი ჰუმანური პრინციპებით ხელმძღვანელობენ აზერბაიჯანელი ხელისუფალნი. ფაქტი ერთია, შექმნილ სიტუაციაში მსგავს მოქმედებას რაიმე მოტივირების საფუძველი არანაირად არ გააჩნია. მით უფრო, რომ ბაქოში ჩასულ ლტოლვილებს საქართველოს საზღვრამდე აცილებ თავიდან მოსაშორებლად.

ჩრდილო კავკასიაში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებათა ექო საქართველომდე აღწევს. აღნიშნული ბრძოლების წამომწყებთა სურვილით ჩაითრიონ ჩვენი ქვეყანა, ნელნელა საფრთხეს გვიქმნის. ჯერ რუსეთის მასმედიაში გაავრცელეს ხმები – ჩეჩნეთში მებრძოლ ბოევიკებს საქართველო ამარაგებს იარაღით და საბრძოლო მასალებითო. ამ უსაფუძვლო ბრალდებებით ატეხილი ხმაური ბოლომდე არც კი მინელებულა და რუსი სამხედროები ოფიციალურად გვთავაზობენ: საქართველო-ჩეჩნეთის საზღვარი ერთობლივად დავიცვათ და გავაკონტროლოთ. სუვერენული საქართველოსათვის შეთავაზებული აღნიშნული წინადადების უკან ავი განზრახვაა ჩადებული – ბოევიკები შეავიწროვონ, გამოდევნონ საქართველოს საზღვრებისაკენ, გამოაპარონ კიდეც და თან დაბომბვები მოაყოლონ. საბედნიეროდ, საქართველოს სახელმწიფო სასაზღვრო დაცვის დეპარტამენტის მესვეურნი იცნობიერებენ თავიანთი რუსი კოლეგების განზრახვათა ბოლო შედეგებს.

გამორიცხული არ არის სხვა შესაძლებლობებიც. ცალკეულმა ბოევიკებმა შესაძლოა მთის ბილიკები გადმოლახონ და საქართველოში შემოაღწიონ. ამის ნიშნები უკვე არსებობს. ანდა გროზნოს დაცემის შემთხვევაში ბოევიკებმა ჯგუფ-ჯგუფად გადმოლახონ კავკასიონის მიუვალი გზები, რუსეთის ჯარებმა განაგრძონ მათი დაბომბვა და, რასაკვირველია, საქართველო მაინც ჩაითრიონ ომში. მათი მოქმედების მოტივირება კვლავაც ერთადერთი იქნება: საერთაშორისო ტერორისტებს ვებრძვით, მათ განადგურებას შუაგზაზე ვერ მივატოვებთო, იქნებ საქართველოში დისლოცირებული სამხედრო ბაზებიც გამოიყენონ ამ მიზნისათვის.

რა გამოსავალი არსებობს მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად? პირველ რიგში, მაქსიმალურად უნდა გაძლიერდეს სასაზღვრო რეგიონების ტერიტორიული თავდაცვა, არსებითად გაუმჯობესდეს საჰაერო დაცვა, რომ იგი თავისი შესაძლებლობებით შეესაბამებოდეს სადღეისო მოთხოვნებს. ალბათ იმის დროც დადგა, რომ ქვეყანას ჰქონდეს ტერიტორიული თავდაცვის კანონი, როგორც ეს მიღებულია მაღალგანვითარებულ ცივილიზებულ ქვეყნებში.

ვახტანგ ქრისტესიაშვილი

# ჩრდილები სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის გზაზე

ბოლო პერიოდში საზოგადოებაში თანდათან მკვიდრდება აზრი იმის შესახებ, რომ ჩვენს ქვეყანას კურსი აქვს აღებული ღია, სამოქალაქო საზოგადოების აშენებაზე. მასმედია დროდადრო მასზე საუბრობს, სტუდიებში იმართება დისკუსიები, ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები სამოქალაქო საზოგადოების საფუძვლების, პრინციპებისა და გზების თეორიული თუ პრაქტიკული ასპექტების გასაშუქებლად.



ერთ წერილში, რა თქმა უნდა, შეუძლებელია ჩვენს ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის ყველა თუ არა, უმეტეს საკითხებზე ისაუბრო. ამიტომაც შევეხებით ზოგიერთ მათგანს, უფრო სწორად მათი დამკვიდრების ცდათა რეალურ სურათს.

მასმედია და ოფიციოზი ვითარებას ისე წარმოადგენს, თითქოს დასავლეთი და აშშ მთლიანად და სავსებით აწონებს საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებულ საშინაო თუ საგარეო კურსს, მზადაა დღესაც და მომავალშიც მხარი დაუჭიროს მას, რომ დასავლეთის მმართველი წრეები დარწმუნებული არიან მრავალთა შორის იმ საკითხშიც, რომ საქართველოში მიმდინარეობს სამოქალაქო, ღია საზოგადოების მშენებლობა.

დასავლეთის თქმა რად გვინდა და განა ჩვენ თვითონ ვერ ვხედავთ სინამდვილეში როგორი სურათია ქვეყანაში და რამდენად ახლოს ვდგავართ სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის სასტარტო მდგომარეობასთან. მარტო თავის მოწონება იმით რომ ბოლო პარლამენტმა 700 კანონი მიიღო და ამით სათანადო ბაზა შექმნა ღია, ცივილური საზოგადოების მშენებლობისთვისო ქვეყანაში, არ იქნება სწორი. კანონები მხოლოდ კანონებად დარჩნენ ქაღალდზე ლამაზად დაწერილნი, თაროებზე შემოლაგებულნი, მრავალრიცხოვანი ჩინოვნიკობის კაბინეტების სეიფებში და უჯრებში გამოკეტილნი. შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოების, ხალხის ცხოვრება ორ განზომილებაში მიმდინარეობს, ერთში ისინი არსებობენ ნორმატიულად, მეორეში რეალურად.

არადა სასამართლო რეფორმის დროულად და ეფექტურად განხორციელებამ ძირეულად უნდა შეცვალოს სახელმწიფოს როლი და ადგილი ქვეყნის, საზოგადოების ცხოვრებაში. მთავარი მიზანი ისაა, რომ პოლიტიკური სახელმწიფო გადაიქცეს სამართლებრივ სახელმწიფოდ. სახელმწიფოს მანამდელი ტრადიციული პოლიტიკური ფუნქციები მაქსიმალურად უნდა შეიკვეცოს და გამარტივდეს. სამაგიეროდ უნდა გაიზარდოს საზოგადოების, ცალკეულ ინდივიდთა ფუნქციები, მოვალეობები, ვალდებულებები, პასუხისმგებლობა. დემოკრატიულობის, ცივილურობის საწყორი ადამიანების, ინდივიდების სასარგებლოდ უნდა გადაიხაროს.

სამოქლაქაო საზოგადოებისათვის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია სამმართველო-ჩინოვნიკური აპარატის მაქსიმალური შემცირება, აღმასრულებელი სტრუქტურების რაციონალურ ოდენობამდე შეკვეცა. ასეთი მიდგომა სახელისუფლო სტრუქტურების სწრაფი, მობილური და ეფექტიანი საქმიანობის საწინდარია. თანაც ფინანსური თვალსაზრისით მეტად საჭირო. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი კი საზოგადოებრივად, საქვეყნოდ სასარგებლო შრომაში უნდა იყოს ჩაბმული. სამოქალაქო საზოგადოებაში სჯობს ადამიანი უშუმევარი იყოს, და აქეთ ეხმარებოდეს სახელმწიფო ან სხვა საქველმოქმედო საზოგადოებები (როგორც დასავლეთ ევროპაშია), ვიდრე ილუზორულ სამსახურს ეწეოდეს და სინამდვილეში არავითარ ხელშესახებ სულიერ ან მატერიალურ ღირებულებას არ ქმნიდეს.

ამ პრობლემის პირდაპირ გაგრძელებად შეიძლება წარმოვიდგინოთ სამართალდამცავი ანუ ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომელთა და მუშაკთა უზომოდ გაზრ-

გაგრძელება მე-4 გვ.

# საქართველოს 1999 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შესახებ (თეზისები)

1. საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 31 ოქტომბრის არჩევნები მოხდარია კონსტიტუციის დარღვევით, კერძოდ, ქვეყნის პრეზიდენტის, როგორც მმართველი და არჩევნებში მონაწილე პარტიის მეთაურის, აქტიური მონაწილეობით საარჩევნო კამპანიაში და მის მიერ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით პროპაგანდისტული მიზნებისათვის. ამავე მიზნებისათვის მომხდარია სხვა თანამდებობის პირთა, მმართველი პარტიის წევრთა და ლიდერთა მიერ თავისი თანამდებობრივი ფუნქციების გამოყენება (საეთერო დროის შეუზღუდველი გამოყენების ჩათვლით სახელმწიფო და კერძო ტელევიზიაში).

2. არჩევნები მომხდარია ერთ-ერთი მონაწილის, სახელდობრ, მმართველი პარტიის („მოქალაქეთა კავშირის") მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, სახელდობრ, ცენტრალური საარჩევნო კომისიის უპირატესად ამ პარტიის წევრებით დაკომპლექტებით.

3. არჩევნები მომხდარია არადემოკრატიული საარჩევნო კანონის საფუძველზე, რომელმაც არჩევნებში მონაწილე სუბიექტები არათანასწორ მდგომარეობაში ჩააყენა, კერძოდ, არჩევნების მიმდინარეობაზე კონტროლის პროცესიდან ფაქტობრივად გამოთიშა პარტიათა დიდი უმრავლესობა და საოლქო და საუბნო კომისიების დაკომპლექტება ფაქტობრივად მმართველი პარტიის ხელში მოაქცია.

4. არჩევნები მოხდა არსებული საარჩევნო კანონის უხეში ღია დარღვევით, კერძოდ, მმართველი პარტიის მიერ ისეთი თანხების გახარჯვით, რომლებიც მრავალ ათეულჯერ აღემატება კანონის მიერ დადგენილ ზღვარს. ამასთან, არსებობს საკმარისი საფუძველი მივიჩნიოთ, რომ ეს თანხები აღებული იქნა სახელმწიფოს სახსრებიდან.

5. არჩევნები ჩატარდა არსებული კანონის მრავალმხრივი ფარული დარღვევით, კერძოდ,

– საარჩევნო სიების წინასწარ არგამოქვეყნებით (არგამოკვრით უბნებზე), რამაც არჩევნების მონაწილე სუბიექტებს, გარდა მმართველი პარტიისა, დაუკარგა მათი სისწორისა და სისრულის კონტროლის საშუალება

– „დამატებითი სიების დაშვების საფუძველზე (რასაც საშუალება მისცა საარჩევნო კანონმა) უბნებზე მმართველი პარტიის მომხრეთა „ბრიგადების" მიერ ხმის მრავალგზისი მიცემით და მათ მიერ სხვადასხვა უბანთა ჩამოვლით ამ პროცედურის შესასრულებლად .

პოლიციისა და ორგანიზებული კრიმინალური ელემენტების ძალადობით (ფიზიკურის ჩათვლით) და ზეწოლის სხვა ფორმებით ყალბი ბიულეტენების მასობრივი ჩაყრის ორგანიზებით, აგრეთვე ოპოზიციურ პარტიათა და პირთა მომხრე ამომრჩევლების წინასწარი დაშინებით პოლიციის, პროკურატურისა და გამგებლების მიერ.

– ხმათა დათვლის პროცედურის გაყალბებით უბნის დონეზე (სინათლის ჩაქრობა, ბიულეტენების ჩაყრა და სხვა), მათი გაყალბებით ოლქის დონეზე (ისეთი მონაცემების გადაცემით ცსკ-ში, რომლებიც არ ემთხვევა უბანთა მონაცემებით ჯამს) და მათი მანიპულირებით ცსკ-ის დონეზე.

6. თქმულის საფუძველზე მიგვაჩნია, რომ საქართველოს 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგები არ არის კანონიერი. ეს შედეგები არ ასახავს საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის აზრს და ნებას, არამედ ასახავს უმცირესობისას, რომელიც მოსახლეობის მცირე პროცენტს შეადგენს. გაყალბებით ჩატარებულ ამ არჩევნებს, რომლითაც საქართველოში, დემოკრატიის ყველა ნორმათა უარყოფით შეიქმნა თავისი შემადგენლობის დიდი ნაწილით პროკომუნისტური და პროიმპერიული პარლამენტი, ჩვენ ვრაცხთ შევარდნაძისა და მისი ჯგუფის მიერ მოწყობილ სახელმწიფო გადატრიალებად. აქედან გამომდინარე, ყველა შედეგებით, ხოლო ამ გადატრიალების ძირითად მოტივად ვვარაუდობთ საქართველოში რადიკალური ანტისახელმწიფოებრივი საპარალმენტო აქტების გატარების სურვილს, როგორიცაა საქართველოს ფედერალიზაცია, ტერიტორიული დანაკარგების იურიდიული გაფორმება, საქართველოს უძრავი სიმდიდრის გასხვისებისათვის საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რუსეთთან „სტრატეგიული პარტნიორობის" შემდგომი იურიდიული საფუძვლის შექმნა და სხვა.

7. თქმულიდან გამომდინარე, სასიცოცხლო აუცილებლობად ვრაცხთ საქართველოს ეროვნული, მაშასადამე, დემოკრატიული და ქვეყნის ბედზე პასუხისმგებლობის შეგნებით აღჭურვილი ყველა პოლიტიკური პარტიებისა და პირების თანამშრომლობის ორგანიზებას, რათა

ა) შესაძლებელი გახდეს ერთობლივი დაპირისპირება არასანდო მმართველ ძალასთან, რომელსაც დღეს საქართველო ეკონომიკური, სტრატეგიული და ფსიქოლოგიური კატასტროფის გზით მიყავს, და მისი შეცვლა უახლესი და შემდგომი არჩევნების გზით.

ბ) შესაძლებელი გახდეს, ხელისუფლების ნების გვერდის ავლით, საქართველოს დაცვა მიმდინარე საშიშროებათაგან, რომლებიც მას კონკრეტულად ემუქრება.

(საპროპაგანდო შემოტევებისაგან, ომში ჩაბმის მცდელობისაგან, კორუფციის მოტივით ეროვნული სიმდიდრის განიავებისაგან, სიწმინდეებისა და კულტურული მემკვიდრეობის საგანთა ხელყოფისაგან და სხვა).

ჩვენს მოსაზრებებს პარტიათა თანამშრომლობის ორგანიზაციული ფორმების შესახებ წარმოვადგენთ ახლო მომავალში.

*საქართველოს სახალხო ფრონტის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ნათაძე*

## პრობლემა

# პროგრესსა და რეგრესს შორის მერყევი საქართველო

ევროპული და ამერიკული ცივილიზაციების შერწყმა ქართულ ყოფიერებასთან (რომელიც დადებითი შედეგებითაც ხასიათდება, მაგრამ ძალიან ხშირად უარყოფითით) საზოგადოების წინსვლას უნდა განაპირობებდეს, მაგრამ სიახლეების ვერაღქმის, გაურკვევლობის შედეგია პროგრესის მაგივრად რეგრესი. ზნეობრივი კრიზისი და საშიშროება იმისა, რომ საკუთარის ვერდამფასებელი თუ „არმცოდნე" ერი უცხოური ცივილიზაციების შემყური, სამუდამოდ დაკარგავს თვითმყოფადი ერის სახელს, ღირსებას და სულიერ სახეს.



ამ აზრის არგუმენტაციისათვის შორს წასვლა არ დაგვჭირდება, რადგან რეალური სურათის დასანახად თბილისის ქუჩებში გავლაც საკმარისია. ყველგან შეინიშნება პორნოგაზეთების თუ პორნოგრაფიული ვიდეოკასეტების საოცარი სიმრავლე, მრავალგვაროვნება და კიდევ უფრო საოცარი, – გასაღება. პორნობიზნესი საქართველოშიც განვითარდა, მაგრამ ეს არ არის სწორი სექსუალური აღზრდა, გარკვეულ ფარგლებში მოქცეული განათლების მიცემა ან თუნდაც გაევროპელება, რაც უნდა დავარქვათ ამას, სნობიზმი თუ მენტალური პროვინციალიზმი, ფაქტი ერთია, მასობრივი ინფორმაციის თავისუფლების პრინციპს ამოფარებული, მავანთათვის ძვირადღირებული პორნო მასიურად იპყრობს ქართულ ბაზარს. თუ ვინმე იტყვის, რომ პორნოგრაფიას კიდევ უფრო მრავალფეროვანი და აურაცხელი ტელესერიალები სჯობია, ძალიან ცდება.

სწორედ უინტელექტო და უგემოვნო ტელესერიალების ზემოქმედებით შეიძლება მიაღწიოს საზოგადოებამ „პასტორალურ ნირვანას" და სნობიზმით დაავადებულმა ტელესერიალების გმირებივით ცხოვრების მსურველმა, ფსიქიკამორყეულმა, ვერც კი გაითავისოს ის უბედურება, რასაც პორნოგრაფია უქადის მას და მის მომავალს.

კომუნისტების დროს ტაბუდადებული „სექსი" ახლა სრულიად განთავისუფლებული თემაა, მასზე საუბრობენ არა მარტო ბავშვები და მოზარდები, არამედ „პორნოშემომქმედებიც", დიდი მონდომებით რომ კვებავენ მოზარდის გონებას, რომელმაც ჯერ კიდევ არ იცის, რა არის კარგი და რა არის ცუდი. მშობლები კი ყოველდღე გულისფანცქალით რომ ელოდებიან ტელესერიალების დაწყებას და ბავშვებისთვის თითქმის არც სცალიათ, ხმას მაშინ აიმაღლებენ ხოლმე, როცა გოგი გვახარია გამოჩნდება ტელეეკრანზე. ლაპარაკობენ და წერენ მასზე, მის გადაცემაზე, თითქოს უკეთეს განმარტებას აძლევდეს რომელიმე ტელესერიალს თუნდაც ერთი ფსიქოლოგი, ან არის კი ტელესერიალებში რაიმე სამაგისო? „ფსიქო"-ს არა მარ-

გაგრძელება მე-7 გვ

# ქართველებო, იქნებ კონგოს პრეზიდენტმა მაინც მოგვხედოს?!

გამარჯვებულებს არ ასამართლებენო, ნათქვამია და არჩევნებში გამარჯვებით თავბრუდახვეული „მოქკავშირიც", დაუსჯელობით განებივრებული, არჩევნების ხარისხის შეფასებისას „გადამლაშებას" აღარ ერიდება.

„ჩვენთან ისეთი არჩევნები ჩატარდა, როგორც ევროსაბჭოს წევრ სახელმწიფოს ეკადრება".

„ძალოვანი სტრუქტურების მხრიდან არჩევნებში ჩარევის ფაქტებს ადგილი არ ჰქონია", „ეს იყო ყველაზე დემოკრატიული არჩევნები. რომ არა აჭარა" და ა.შ. თურმე ყველაფერი რიგზეა, რომ არა დამარცხებულ პარტიათა, პოლიტიკურ ძალთა ხშირად არც თუ უსაფუძვლო საჩივრები და საზოგადოდ, არჩევნების შემდეგ მოსახლეობისთვის სავალალო შედეგი: უმუშევრობა. ინფლაცია. უფულობა.

„არჩევნები პოლიციამ მოიგო და არა მოქკავშირმა", „არსებულმა ხელისუფლებამ ავტომატებითა და „ბეტეერებით" თავისსავე მოსახლეობას არჩევანიც მოპარა და გამარჯვებულს!" „ჩვენს ქვეყანაში შევარდნაძის დემოკრატიაა, რომელსაც არჩევანი არ სჭირდება"... და სხვა – აცხადებენ მოქკავშირის ოპონენტები.

ასე იყო თუ ისე. ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა, თუმცა ვინ მოიგო არჩევნები, ამან უკვე მნიშვნელობა დაკარგა, „მოქალაქეებს" შარავანდედი გაუხუნდათ. უმუშევრობით, უფულობით, შიმშილით და სიცივით შეწუხებული მოსახლეობა დაპირებათა არშესრულებით განაწყენებული, იმედის თვალით შეჰყურებს საპრეზიდენტო არჩევნებს. მომავალში ორთვიანი „წინასაპრეზიდენტოსაარჩევნო" შეღავათებით – შუქით, პურითა და პენსია-ხელფასებით „განებივრებულები" ისევე გაუცრუებენ იმედს „მოქალაქეებს", როგორც ამ უკანასკნელებმა პირველს „საპარლამენტოს" დროს გაუკეთეს. ვშიშობთ, ამჯერად შურისძიებით ანთებულმა ქართველმა ამომრჩეველმა ხმა „მოქკავშირის პრეზიდენტის" ნაცვლად კონგოს პრეზიდენტს არ მისცეს, იმის იმედით, იქნებ მან მაინც მოგვხედოსო.

მანანა ლობჯანიძე

# გიხაროდენ, გიხაროდენ და გიხაროდენ?!.

მე-2 გვერდიდან.

ინჯიამ პირწმინდად გაიმარჯვა. რაღ გინდა მერე? გამარჯვება ასე არ უნდაო და ჯერ პრეზიდენტმა გაავრცელა ერთ-ერთი სააგენტოს მეშვეობით ინფორმაცია, რომ ინჯიამ შვიდი მილიონი დააბრუნოს ხაზინაშიო, მერე გენერალური პროკურატურა და კონტროლის პალატაც ამოქმედდა, აქაოდა, ადრე რომ ხუთ-ხუთჯერ შევამოწმეთ ინჯია, ჯერ არ დაგვიმთავრებია საქმე და მალე მოვფენ ყველაფერს ნათელსო და ასე, კარუსელივით დატრიალდა ამომრჩევლებზე და თავად ფაქტიურად, გამარჯვებულ კანდიდატზე ზეწოლის მექანიზმები.

თუმცა, უწესო წესებით რომ თამაშობს ხელისუფლება, ამას ბავშვიც კი ხვდება, არათუ მე და შენ, ჩემო ძვირფასო მკითხველო. აბა, რა წესია ეს, როცა ქვეყნის პრეზიდენტი, ამხელა პოლიტიკოსი, გამოდიხარ და საქვეყნოდ აცხადებ, ის შვიდი მილიონი დააბრუნოს ინჯიამ, სახელმწიფოს რომ მოპარაო. სადაა უდანაშაულობის პრეზუმპცია აქ დაცული, ან სასამართლო რისთვის გვაქვს, ან მართლმსაჯულება რისი მაქნისია? ასე თუ დავაყენებთ საკითხს, მაშინ ჩვენც შეგვიძლია ვკითხოთ პრეზიდენტს, სად წაიღეთ ბატონო ედუარდ, ეს ამდენი მილიარდობით დოლარი, ჩვენ რომ გვაწევს კისერზე ვალადო. პრეზიდენტი, რა თქმა უნდა, პასუხის ღირსად არ ჩაგვთვლის, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ მაგ საქმეში ყველაფერი წესრიგში არა აქვთ?



ანდა, საოლქო კომისიას რომ აღელვებული მარტვილელები მიცვივდნენ, ნუ გვიყალბებთ არჩევნებსო, ეს რა ინჯიას ბრალი უნდა იყოს? ხალხს, წესით და რიგით, აქვს უფლება, საკუთარი არჩევანი, საკუთარი ხმა დაიცვას და ბუნებრივია, როცა მას ამ არჩევანის გაყალბებას დაუპირებ, არაფრად ჩააგდებ, აღელდება ეს ხალხი, აბა, რა იქნება. ისე, გაყალბებას რაც შეეხება, ჩვენდა სამწუხაროდ, მხოლოდ მარტვილი არ ყოფილა გამონაკლისი, ბევრგან გაყალბდა არჩევნები და პარლამენტს გარეთ დარჩენილი პარტიების ლიდერები, მაგალითად, თოფაძე და ნათელაშვილი იმ დოკუმენტების გამოქვეყნებასაც გვპირდებიან, რომლებშიც ეს გაყალბებებია ასახული.

რაც მოგივა დაგითაო, ყველა შენი თავითაო, ნიშნისმოგებით მიწერა რომელიღაც მაყურებელმა „რუსთავი-2"-ის „კურიერს" ირინა სარიშვილის მისამართით. არ შეიძლება არ დაეთანხმო. 7 პროცენტიანი ბარიერის შემოქმედი ქალბატონი და მისი პარტიაც გარეთ დარჩნენ და არათუ შვიდი პროცენტი, ხუთი პროცენტიც ვერ გადალახეს. თუმცა, ამის გამო არჩევნების შემდგომ პრესკონფერენციაზე ირინა სარიშვილს დიდი ნერვიულობა არ ეტყობოდა, გარეგნულად მაინც. მაგრამ წლების განმავლობაში პარლამენტის წევრობას ჩვეული ქალბატონი, ალბათ, გარკვეულ დისკომფორტს განიცდის და ვინ იცის, სინანულით გულში მჯიღსაც ირტყამს, რად ავიხირეო ეს შვიდპროცენტიანი ბარიერი, მაგრამ გვიანია თითზე კბენანი.





თოფაძე-ნათელაშვილის პარტიები, რომლებიც შვიდპროცენტიან ზღვართან ახლოს იდგნენ, ერთგვარი ვაჭრობის თემად იქცნენ. რომელ დემოკრატიულ ქვეყანაში შეიძლება აგორდეს ისეთი ჭორი, როგორიც მათი პარტიების პარლამენტში მისვლა-არმისვლაზე აგორდა: მოქავშირი თოფაძის პარტიას ფულს თხოვს, მოგვცემ ფულს, გახვალთ პარლამენტშიო ან სალარიძე გავიდეს პარტიიდან და პარლამენტიც თქვენთვის დაგვითმიაო.

ისეთ ჭორს რა ვუთხარი, ნახევარი სიმართლე რომ არ ერიოსო, უთქვამს ქართველ კაცს. ამ შემთხვევაში სიმართლის გარკვევა ძალზე რთულია, მაგრამ სიმართლეზე მეტად თავად ის არის საინტერესო, რომ პარლამენტში თითქმის (თუ თავად თოფაძე-ნათელაშვილს ვკითხავთ, ფაქტიურად) გამარჯვებული პარტიების მისვლა-არმისვლა ასეთი ვაჭრობის საგანი გახდა. თუმცა, მადლობა ღმერთს, მოწყალება მოილოცსკ-მ თუ მოქავშირემა და თოფაძის პარტია პარლამენტში გავიდა.

ყველაზე მთავარი მაინც ის არის, რაზეც ადრეც ვწერდით ჩვენს გაზეთში და დღესაც გავიმეორებთ. კერძოდ, საქართველოში ხელისუფლების შეცვლა შეუძლებელი გახდა, ამას არც არჩევნები უშველის და არც ხალხის ქუჩაში გამოსვლა. თოფ-იარაღი კი ღმერთმა დაგვიფაროს. მისი გემო უკვე ვნახეთ და ახლაც თვალებში გვიდგას მაშინდელი უბედურება. აბა, არ ყოფილა საშველი და ეგ არისო, იტყვის მკითხველი. ჩემდა სამწუხაროდ, უნდა დავეთანხმო. ახლო მომავალში საშველს ნამდვილად ვერ ვხედავთ, რადგან [illegible] ხელისუფლება შევარდნაძისა და მისი მოქავშირის მიერ, რომ რაც არ უნდა სწორი არჩევანი გააკეთოს მოსახლეობამ მომავალ არჩევნებში, მათ ხელში არჩევნების გაყალბების, მოსახლეობაზე ზემოქმედების ისეთი ბერკეტებია თავმოყრილი, რომ შედეგი ისეთივე იქნება, როგორც დღეს მივიღეთ. თუმცა, მთლად პესიმიზმს ნუ მივცემთ თავს. მაინც არის იმედი იმისა, რომ ხალხი, მასა გამოფხიზლდება და თავის სათქმელს ხმამაღლა და ძალუმად იტყვის. შეიძლება ეს დღეს, ხვალ არ მოხდეს, მაგრამ შესაძლოა ამისი დროც მოვიდეს.

მანამდე კი, გიხაროდენ, გიხაროდენ და გიხაროდენ, მოქალაქეთა ამომრჩევლებო... შექიც გაქვთ, წყალიც, გაზიც, ხელფას-პენსიაც და იაფი ბენზინიც. ჩვენ რა დავაშავეთ, დანარჩენებმა, ვისაც მოქავშირ[illegible] შემოგვიხაზავს და ჩვენი არჩევანი იმ ძალებზე გავაკეთეთ, ვინც უფრო ეროვნულ ძალებად მოიაზრებიან? სად წავიდა ჩვენი ხმა, სად გაქრა ჩვენი ნება, ჩვენი სურვილი? საკითხავი, აი, ეს არის. თუმცა მარტოოდენ ესაა საკითხავი? სხვა რაღაცეებიცაა საჩხრეკ-საძიებელი. მაგრამ როცა ძალა აღმართს ხნავს, მაშინ რა გაეწყობა, ვერაფერს იზამ.



და ბოლოს, გვინდა მოქავშირის ამომრჩევლებს ერთი კარგი რეცეპტი შევთავაზოთ ამ უშუქ-უწყლო-უგაზო და უპენსიო-უხელფასო ქვეყანაში ნერვების დასამშვიდებლად: ჩინური 2 ცალი ელემენტები იყიდეთ (თითო ღირს 25 თეთრი), ასევე შეიძინეთ იაფფასიანი დიქტოფონი, ჩადევით შიგ კასეტა სიმღერის ტექსტით „გიხაროდენ, გიხაროდენ" და დღედაღამ უსმინეთ და უსმინეთ. ვინძლო, ამ რეცეპტმა ყურებიც დაგიტკბოთ და ნერვებიც დაგიმშვიდოთ. მანამდე უსმინეთ, სანამ მომავალი არჩევნები არ მოვა და ამ სმენა-სმენაში იქნებ თვალებიც აგეხილოთ და გონებაც გაგინათდეთ, რომ მომავალი არჩევნებიდან კიდევ ოთხი წელი არ მოგიხდეთ „გიხაროდენ"-ით ყურების დატკბობა და მშიერი სტომაქის ამოვსება.

შინაური მიმომხილველი

# ჩრდილები სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის გზაზე

მე-3 გვერდიდან.

დილი რაოდენობა. საქართველოში, მოსახლეობით ასეთ პატარა ქვეყანაში, 100 ათასამდე ძალოვანია. საქმე ისაა, რომ ეკონომიკურ-მეურნეობრივად ჩვენნაირ დაბეჩავებულ ქვეყანას არანაირად არ შეუძლია მათი ნორმალური ხელფასით უზრუნველყოფა. ისინი თვეობით არ იღებენ მას. სწორედ ესაა საფრთხის წყარო საზოგადოებისთვის, რადგან შემოსავლის უქონელი ძალოვნები საზოგადოებისთვის სანდო ელემენტები ვეღარ იქნებიან, მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის დარეგულირებაში გამოიჩენენ ტენდენციურობას, რითაც ნიადაგს უმზადებენ კორუფციას. სამოქალაქო საზოგადოება მოიაზრება შიშის, იძულების, დათრგუნვის ფაქტორებისგან გათავისუფლებულ ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესად. პრაქტიკულად ეს ნიშნავს, რომ ქუჩაში რაც შეიძლება ნაკლები რაოდენობის ფორმიანი ადამიანები დაიარებოდნენ. ასეა სინამდვილეში ჩვენთან? მარტო თბილისი გადავსებულია ფორმიანი ხალხით, ყველა მთავარ მაგისტრალზე, ხიდზე, გზაგასაყარზე თუ ქალაქის შემოსასვლელში გაუთავებელი რეიდები და კორდონებია. ამ მხრივ მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა საპარლამენტო არჩევნების კამპანიამ. ძალაუნებურად კაცი იფიქრებს, რომ არჩევნების შედეგებით სისხლხორცეულადაა დაინტერესებული ძალოვანი სტრუქტურები. არადა მე მინახავს 1994 წლის ოქტომბერში გერმანიაში ბუნდესტაგის არჩევნები, სადაც ქუჩაში გარეთ ერთ პოლიციელსაც ვერ შეხვდებოდით არჩევნების დღეს და მანამდეც.

სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის თვალსაზრისით ნიშანდობლივი რამ ხდება მიმდინარე სასამართლო პრაქტიკაში. საქმე ისაა, რომ მოდავე მხარეებს შორის გამოჩნდნენ სრულიად ახალი, მანამდე უცნობი ოპონენტები. კომუნისტურ ეპოქაში სასამართლოებში სამოქალაქო საქმეებზე ურთიერთმოდავე მხარეებად უმთავრესად გამოდიოდნენ ოჯახები და მათი წევრები, მეზობლები, ქონების მემკვიდრეები, მდგმურები, კოოპერატივებისა და კოლმეურნეობების წევრები და ა.შ. ასეთ შემთხვევებში სასამართლო ძირითადში შუამავლის როლს ასრულებდა. სახელმწიფოს პრიმატი კულმინაციას სისხლის სამართლის საქმეებში აღწევდა, განსაკუთრებით ქონებრივად სადაო საკითხებში საზოგადოებრივი საკუთრების განმასახიერებელ სუბიექტსა და ინდივიდს, პიროვნებას შორის. რა თქმა უნდა, სახელმწიფო სასამართლოს მეშვეობით მუდამ პირველის ინტერესების სადარაჯოზე იდგა, რადგან პიროვნებისაგან ქონებრივი ზიანი უშუალოდ და პირდაპირ სახელმწიფოს ადგებოდა.

დღეისათვის სურათი სავსებით შეიცვალა. როგორც სისხლის ისე სამოქალაქო საქმეებზე მოდავე მხარეთა არეალი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამასთან უკანა პლანზე გადადის, ზოგ შემთხვევაში კი ნულამდე დადის, სახელმწიფოს როლი და ინტერესი. დღეს მოსარჩლე-მოპასუხეებს შორის უმთავრესად ვხედავთ დიდი თუ პატარა ქონებრივი შეძლებისა და ინტერესების მქონე პირებს, ფირმებს, სააქციო საზოგადოებებს, ორგანიზაციებს, ასოციაციებს. ძალიან იშვიათად რომ რომელიმე მათგანი სასამართლოზე სახელმწიფო ინტერესებს წარმოადგენდეს, თუმცა სასამართლო ასეთ შემთხვევაშიც ნეიტრალური რჩება და არანაირად არ აყენებს სახელმწიფო ინტერესებს უფრო მაღლა, ვიდრე ინდივიდისას, პიროვნებისას, ფირმისას, ორგანიზაციისას. სასამართლო მათ თანაბარ სიბრტყეზე უდგება. ამით მოქალაქე თუ ორგანიზაცია დაცულია სახელმწიფოს მხრიდან რაიმე ძალადობისა თუ ძალმომრეობისგან, ანუ აპრიორულად დაცულია ადამიანისა თუ ადამიანთა ჯგუფის უფლებები. სამოქალაქო, ღია საზოგადოებისთვის ეს ერთ-ერთი უმთავრესი ღირებულება და მონაპოვარია. სხვა საკითხია ჩვენი მოსამართლეები პიროვნულად როგორ უდგებიან დავის მონაწილე მხარეებს, მაგრამ ერთი კი აშკარაა, რომ ადამიანისა და მოქალაქის უფლებების დაცვის მექანიზმი სამართალწარმოებაში უკვე შექმნილია. სხვა საქმეა, ვინ როგორ ასრულებს მას.

საქართველოში ღია, სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობას ხელს მნიშვნელოვნად უშლის ის გარემოება, რომ ქვეყანაში ფაქტობრივად არ არსებობს მშრომელთა ისეთი მასობრივი მოძრაობა, როგორიც პროფკავშირებია. ძველები უფუნქციოდ არიან და დაშლის პირას იმყოფებიან. აშკარაა, რომ არ-

გაგრძელება მე-6 გვ

# Viva historia

## ანუ პლინიუს სეკუნდუსმა როგორ ჩამოხსნა ნიღაბი საქართველოს ისტორიის გამყალბებლებს

მაშ ასე, ერთხელ კიდევ მოგითხრობთ ორი რუსეთის შესახებ. სანამ ქართველები ერთმანეთს თავ-პირს ამტვრევდნენ იმის გამო – შეიძლება თუ არა 5 მილიონიან ხალხს გენოციდი მოუწყოს 80 ათასმა კაცმა, მანამ ორივე რუსეთმა ბოროტი ხარხარით პასუხი გასცა კითხვას – ვინ იბრძოდა და რისთვის იბრძოდა აფხაზეთში, ვინ მოაწყო და ვისთან ერთად მოაწყო აბორიგენი ქართველი მოსახლეობის გენოციდი და დღემდე ტოდ არსებული აფხაზეთი ცინიკურად დღემდე რედაც აღიარა, მიუხედავად ე.წ. მსოფლიო თანამეგობრობის მიერ აფსუათა არჩევნების უკანონოდ ცნობისა.

სხვათა შორის, ამ სტრიქონების ავტორი იყო ერთ-ერთი პირველი, თუ სულ პირველი არა, რომელმაც აფხაზეთში დატრიალებულ ტრაგედიას პრესაში საჯაროდ უწოდა „რუსეთ-საქართველოს ომი", რომლის ნამდვილობაში ეჭვი ახლა მაინც ალარავის არ შეეპარება, გარდა, სამწუხაროდ, მმართველი პარტიისა, რომელმაც ვერ იქნა და ვერ მოიშორა ორი რუსეთის არსებობის სინდრომი და დღემდე თითქმის არ დაურქმევია ამ მოვლენისათვის ნამდვილი სახელი.

დღეს მაინც, როცა, გვინდა თუ არა, სინამდვილეს თვალებში უნდა შევხედოთ, უნდა ვთქვათ სიმართლე. სიმართლე და არაფერი სიმართლის გარდა და ეს სიმართლე იქნებ მომავალ თაობებს მაინც გამოადგეთ რამეში!

თუ არა და, აი, გაყალბებული ისტორიის ჭურვმა იგორა, იგორა და „დამოუკიდებელი" აფხაზეთის სახით მოგვევლინა. დღეს მაინც უნდა გამოვფხიზლდეთ და ვაღიაროთ, რომ „ყალბი ისტორიკოსები" (სერვანტესის სიტყვებით) ჩვენებურები იქნებიან თუ უცხოელები, ისე უნდა დაისაჯონ, როგორც ყალბი ფულის მომჭრელები, რადგან ისტორიის გაყალბება ესაა პირდაპირი თუ არაპირდაპირი მოწოდება ომის გაჩაღებისაკენ და, ამდენად, „ყალბი ისტორიკოსები" პასუხისგებაში უნდა მიეცნენ, როგორც ომის გაჩაღების პროპაგანდისტები.

თუ როგორი დამღუპველი როლის შესრულება შეუძლია ისტორიის გაყალბებას, ამის თვალსაჩინო მაგალითი დღევანდელი საქართველოს მდგომარეობაა. წინა წერილში ჩვენ მოვიყვანეთ უმცირესზე უმცირესი ნაწილი იმ ზღვა სიყალბისა, რომელსაც საქართველოში აფსუების უხსოვარ დროიდან აბორიგენობა და ე.წ. „აფხაზეთის ისტორია" ჰქვია.

მოდით, უკეთ რომ წარმოვიდგინოთ თუ რაზეა საუბარი, ერთ სისტემაში მოვიყვანოთ წინა წერილში მოყვანილი და ზოგიერთიც მოუყვანელი მოსაზრება.

1) აკად. ო. ჯაფარიძე – ძვ. წ. III ათასწლეულში აფხაზურ (აფსუურ) ადიღეური ტომები ცხოვრობენ დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთში;

2) აფსუა მეცნიერების ერთი ჯგუფი – ძვ. წ. III ათასწლეულში აფსუების წინაპრები ცხოვრობდნენ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში (აბა, მაიკოპის კულტურას უპატრონოდ ხომ არ მიატოვებენ? ბ.თ.).

3) აკად. გ. მელიქიშვილი – ძვ. წ. II ათასწლეულში აფხაზურ-ადიღეური ტომები ბინადრობდნენ მცირე აზიაში, კონკრეტულად ანატოლიაში;

4) აკად. გ. მელიქიშვილი – ძვ. წ. II ათასწლეულში მცირე აზიაში მოხსენებული აბეშლასა და ქაშქების ტომები აფხაზურ-ადიღეური მოდგმისანი უნდა იყვნენ;

5) აკად. ა. ჩიქობავა – „არსებობს სერიოზული საფუძველი ***ვივარაუდოთ*** (ხაზი ჩემია, ბ.თ.), რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ქართველურ ტომებს წინ უსწრებდნენ აფხაზურ-ადიღეური ტომები, ზანური ტომები მკვიდრდებოდნენ იმ ტერიტორიაზე, სადაც შერჩენილი იყო აფხაზურ-ადიღეური მეტყველება";

6) აკად. ს. ჯანაშია – „ეს ტოპონიმები (იგულისხმება – სუფსა, მალთაყვა, აკამფსისი,! და სხვ. ბ.თ.) დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჩერქეზული მოსახლეობის (ე.ი. ქართველებზე ადრინდელი, ბ.თ.) არსებობის ნაკვალევია";

7) აკად. ქ. ლომთათიძე – „აფხაზურ ენაზე მეტყველ ტომებს ქართველ ტომებთან უძველესი დროიდან ჰქონდათ მტკიცე კავშირი. ***ამ ურთიერთობის შედეგია აფხაზური ენის უდავო გავლენა ქართულზე და არა მხოლოდ ლექსიკის სფეროში, არამედ აგრეთვე მორფოლოგიის გარკვეულ სფეროშიც*** (ხაზი ჩემია, ბ.თ.).

8) ე.ი. ქართველი აკადემიკოსების აზრით, რომელსაც აფსუები დროშასავით აფრიალებენ, დასავლეთ საქართველოში ქართულ ტომებს წინ უსწრებდნენ აფხაზურ (აფსუურ)-ადიღეური ტომები;

9) აფსუა ისტორიკოსები – აიეტის დროინდელი კოლხური კულტურა, ე.ი. ძვ. წ. II ათასწლეული, თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც აფსუებისაა;

10) აფსუა ისტორიკოსები პლიუს ქართველი ისტორიკოსები (ნ. ლომოური, ე. ხოშტარია-ბროსე, მ. ინაძე და სხვ.) – ახ. წ. I-II საუკუნეებში აფხაზეთში მცხოვრები აფსილები (ქართული მატიანით აფშენები, ბ.თ.) და აბაზგები აფხაზურ-ადიღეური ტომებია, ე.ი. დღევანდელი ფსევდო-აფხაზების ანუ აფსუა-აფხაზთა წინაპრებია;

11) აკად. გ. მელიქიშვილი – ახ. წ. პირველ საუკუნეებში აფსუური მოდგმის აბასგები აფხაზეთში ქმნიან აფხაზურ-ადიღეური ტომების დიდ გაერთიანებას.

12) აფსუა ისტორიკოსები (შ. ინალიფა, ზ. ანჩაბაძე და სხვ.) – ახ. წ. VIII საუკუნისათვის ძირითადად დასრულდა აფხაზი ხალხის ჩამოყალიბება, მაგრამ კონსოლიდაციის პროცესი თითქმის XVIII საუკუნემდე გაგრძელდა (ხაზი ჩემია, ბ.თ.);

13) ქართველი, რუსი და ადიღი ისტორიკოსები აფხაზურ-ადიღეური ხალხების წინაპრები უნდა იყვნენ ძვ. წ. VI-IV საუკუნეებში ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში მოხსენიებული კერკეტები, ზიხები, სინდები და სხვ (ხაზი ჩემია, ბ.თ.).

14) ადიღეელი მკვლევარები – ადიღეური ტომები ისტორიის ასპარეზზე გამოდიან და პირველად იხსენიებიან ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ძვ. წ. VI-IV საუკუნეებში მეოტების სახით, რომელიც კრებითი სახელი უნდა იყოს;

15) ადიღეელი მეცნიერების (აუტლევი, ლევაკინი, ხორესტლევი) – ***ადიღეელთა ფორმირებაში ცნობილი როლი შეასრულეს ადრე სკვითებმა, უფრო გვიან კი ალანებმა*** (ხაზი ჩემია, ბ.თ.) (განმარტებისათვის: საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სკვითები და ალანები ირანულენოვანი ტომები არიან; მათგან სკვითები ისტორიის ასპარეზზე ჩრდილო კავკასიაში ჩნდებიან ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებში, ალანები კი ძვ. წ. II ს-ში).

პატივცემულო მკითხველო! კარგად დავიმახსოვროთ სხვასთან ერთად ეს უკანასკნელი დასკვნა, რადგან იგი მომავალში მეტად გამოგვადგება, როცა ასეთ კითხვას დავსვამთ – შეიძლება თუ არა ირანულენოვანი ტომების საფუძველზე ჩამოყალიბებული ადიღეური ტომები და მათი ენები იყვნენ იბერიულ-კავკასიური ენების ერთ-ერთი ძირითადი შტო და ეს ხალხები (ე.ი. აფხაზურ (აფსუურ)-ადიღეური ტომები) შეიძლება თუ არა ჩავთვალოთ ქართველთა მონათესავედ.

16) ქართველი მეცნიერები (აკად. ა. ჩიქობავა, აკად. ქ. ლომთათიძე და სხვ.) – არსებობს მონათესავე იბერიულ-კავკასიური ხალხების ენათა ოჯახი, რომელიც შედგება 3 ძირითადი შტოსაგან: ა) აფხაზურ-ადიღეური, ბ) ქართველური და გ) ნახურ-დაღესტნური.

***აქვე მინდა კატეგორიულად აღვნიშნო, რომ შორს ვარ იმ აზრისაგან, ზემოთ მოყვანილი მოსაზრებების ყველა ავტორი მივათვალოთ „ყალბი ისტორიკოსების" კოჰორტას. მიგვაჩნია, რომ ზოგიერთი მათგანი განიცდიდა იმპერიული იდეოლოგიის ძლიერ ზეწოლას და თავისი მეცნიერული მრწამსის საწინააღმდეგოდ, იძულებით ემორჩილებოდა*** კონიუნქტურას (ხაზი ჩემია, ბ.თ.). ამას უფრო დაწვრილებით მომავალი გაარჩევს და გაარკვევს, ამჟამად კი ჩვენთვის მთავარია, თუ რა ზიანი მოგვიტანა და რა ზარალი მოგვაყენა ისტორიის ნებსით თუ უნებლიედ გაყალბებამ.

მოვუსმოთ დიდ ივანე ჯავახიშვილს – „მეცნიერებამ მრავალი მაგალითი იცის, როდესაც არა თუ თვით ავტორის მიერ შეუმცდარად აღიარებული, არამედ ფართოდ განმტკიცებული მოძღვრებაც კი მცდარი გამოდგარა და წინათ ურყევ ჭეშმარიტებად მიჩნეული სრულებით უკუგდებული ყოფილა".

აი, ასე დაემართა სწორედ ე.წ. აფხაზურ-ადიღეური მოდგმის ხალხების აბორიგენობის თეორიას არამარტო ამიერკავკასიასა და მცირე აზიაში, არამედ საეჭვო ხდება თვით ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაშიც კი.

და აი, 1920 წლის 14 ივლისს ანუ როგორც იტყვიან, ერთ მშვენიერ დღეს, გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში" გამოქვეყნდა მშვენიერი ენერგიული, ვაჟკაცური შემართების, საქართველოს ისტორიაზე უზომოდ შეყვარებული, ევროპული ენების საუკეთესო მცოდნის, ქალბატონ ნათელა ფოფხაძის წერილი „შავ ზღვას კოლხეთის ზღვა ერქვა".

***ამ წერილმა შოკში ჩააგდო ქართული ისტორიოგრაფია, თავდაყირა დააყენა და ყოველგვარი საფუძველი გამოუცალა ათეული წლობით ნა[illegible] და ნათითხნ ორაბორიგენობის თეორიას და ჩვენს მიერ ზემოთმოყვანილი მოსაზრებანი, რომელნიც ათეული წლების განმავლობაში ბატონობდა საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, ისტორიული ფოლკლორის უდღეურ ნიმუშებად აქცია*** (ხაზი ჩემია, ბ.თ.).

საქმე ისაა, რომ ქალბატონმა ნათელა ფოფხაძემ გამოაქვეყნა მონაცემები ახ. წ. I ს-ის ცნობილი რომაელი მეცნიერისა და სახელმწიფო მოღვაწის, პლინიუს სეკუნდუსის (უფროსი), 37 წიგნიანი შრომიდან „ბუნების ისტორია", ***რომლის მიხედვითაც სკვითური ტომები, აბსუები, ახ. წ. I ს-ში ცხოვრობენ, არც მეტი, არც ნაკლები, კასპიისპირეთში, დღევანდელი ასტრახანის მახლობლად, დღევანდელი ყალმუხეთის ველებზე*** (ხაზი ჩემია, ბ.თ.).



[illegible] XVII ს.

ამ სტატიას თან ერთვოდა შვეიცარიელი მეცნიერის და მოგზაურის, დიუბუა დე მონპერეს მიერ რუსეთის საიმპერატორო კარის დაკვეთით შესრულებული რუკა პლინიუსის შრომის მონაცემების მიხედვით (იხ. რუკა).

***სადმე რომ სამართალი იყოს, მარტო ეს სტატია და თანდართული რუკა საკმარისი უნდა ყოფილიყო, რომ მაშინვე მაკულატურად გამოცხადებულიყო მთელი ის ზღვა ლიტერატურა, მთელი ის „ნაშრომები" ქართველი, ფსევდოაფხაზი და რუსი მეცნიერებისა – მონოგრაფიები, დისერტაციები, სტატიები და ა.შ. რომელიც მიძღვნილია და ამტკიცებენ აფსუების, როგორც დამტკიცდა, არარსებულ აბორიგენობას ამიერკავკასიასა და მცირე აზიაში*** (ხაზი ჩემია, ბ.თ.).

მარტო ეს მონაცემიც კი საკმარისია იმის დასამტკიცებლად, თუ როგორ ვარჯიშობდნენ და ფანტასტიკურ „ნაშრომებს" წერდნენ „ყალბი ისტორიკოსები", რის გამოც ამდენი უბედურება დაატყდა თავს ქართველობას.

ქალბატონმა ნათელა ფოფხაძემ, გააგრძელა რა ინტენსიური ძიება ამ მიმართულებით, გამოაქვეყნა მრავალი სტატია და ინტერნეტის საშუალებით ამ ბოლო დროს კიდევ მიაკვლია ორ მნიშვნელოვან რუკას, რომელნიც შედგენილია ისევ ევროპელების მიერ. პირველი შედგენილია 1562 წელს ლონდონელი რუკათმხაზველის, ანტონ ჯენკინსის მიერ და ***გვიჩვენებს, რომ ამ პერიოდში (ე.ი. მე-16 ს-ის მეორე ნახევარში) აფსუები ცხოვრობდნენ აზოვის ზღვის ჩრდილოეთით, როგორც მომთაბარეები*** (ხაზი ჩემია, ბ.თ.); მცირე რუკა კი შედგენილია 1600 წელს ცნობილი ჰოლანდიელი რუკათმხაზველის, ჰონდიუსის მიერ და მასზე, მართალია, უშუალოდ არაა მითითებული აფსუები, მაგრამ ჩრდილო კავკასიაში აღნიშნულია პატარა დასახლება ცნობილი აფსუური გამოთქმით – აკუა, რაც კვლავ გვიჩვენებს, რომ ***მე-17 ს-ის დასაწყისში აფსუები ჯერ კიდევ მომთაბარეობენ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ველებში*** და საქართველოსთან მათ საერთო არაფერი აქვთ.

ასე ჩამოხსნა ნიღაბი პლინიუს უფროსის მიერ დაცულმა ცნობამ საქართველოს ისტორიის გამყალბებლებს და საფუძველი ჩაუყარა საქართველოში აფსუათა აბორიგენობის ყალბი თეორიის დასამარებას, რაც კიდევ უფრო განამტკიცა მომდევნო წლებში სპეციალისტთა თუ არასპეციალისტთა მიერ გამოვლენილმა მასალებმა და ჩატარებულმა კვლევებმა, რომელთა შესახებაც მომდევნო წერილში გავაგრძელებთ საუბარს.

**ბიძინა თავაძე**

***საქართველოს ბუნებისა და ისტორიულ ფასეულობათა დაცვის ასოციაცია „ფესვების" პრეზიდენტი.***

# ჩრდილები სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის გზაზე...

მე-4 გვერდიდან.

სად არ იგრძნობა მათი მაჯისცემა. ერთი რამ რაც ამ მხრივ თვალში გვხვდება, ესაა სპონტანური სასამართლო პროცესები უფუნქციო თანამდებობებისათვის და პროფკავშირული



ქონების განაწილება-გასხვისება-პრივატიზებისათვის. ხუმრობაგარევით თუ ვიტყვით ქვეყნის მოსახლეობის უმეტესობა მისდაუნებურად ერთ უზარმაზარ უმუშევართა პროფკავშირშია გაერთიანებული, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ფაქტობრივად საზღვარგარეთაა დასაქმებული. არადა მსოფლიოს ნებისმიერ ცივილურ ქვეყანაში პროფკავშირების მთავარი ამოცანაა კონსტიტუციით აღიარებული მოქალაქეთა შრომითი უფლებების დაცვა. შრომითი უფლება კი ადამიანისა და მოქალაქის ერთ-ერთი უმთავრესი და ზოგადსაკაცობრიო უფლებაა. ხდება კი ჩვენთან ასე?

რამდენადაც მოსახლეობის უმთავრესი ნაწილი დაუსაქმებელია; ამდენად შესატყვისი პროფკავშირული ორგანიზაციების ჩამოყალი-



ბება და სისხლსავსე ფუნქციონირება სადღეისოდ შეუძლებელია. ხელისუფლებამ ხელი არ შეუწყო საშუალო ფენის ჩამოყალიბებას ქვეყანაში. რასაც აშკარად და ხმამაღლა ჰპირდებოდნენ ამომრჩევლებს 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში, ერთი მილიონი დასაქმებული ადამიანი ამ 4 წელიწადში სწორედ რომ საკმარისი იქნებოდა საშუალო ფენის შესაქმნელად. თუ ძველი მეთოდით გაგრძელდა საშუალო ფენა არც ახლო მომავალში ჩამოყალიბდება. მმართველი პარტია ბევრს გაიძახის სტაბილურობის თაობაზე, ის კი ავიწყდება, რომ ქვეყნის სოციალური სტაბილურობის გარანტი საშუალო ფენაა, ანუ შრომით დაკავებული მოსახლეობის უმეტესობა. ცნობილია, რომ სამოქალაქო საზოგადოებაში ყველაზე მასობრივი და ძლიერი საშუალო ფენაა, იგია ქვეყანის, საზოგადოების ფონი და არა ერთი მუჭა ოლიგარქია. დასავლეთის ქვეყნებში ეს მართლაც ასე იყო XIX და ნაწილობრივ XX საუკუნეებში, როდესაც ფინანსური ოლიგარქია ფლობდა ქვეყნის სადავეებს და იგი ქმნიდა სახელმწიფოსა თუ საზოგადოების ფონს, ანუ როცა აქ არ არსებობდა სამოქალაქო საზოგადოება. მდგომარეობა კარდინალურად შეიცვალა მეორე მსოფლიო ომის წინ და განსაკუთრებით მის შემდეგ. ომმა და მილიტარიზმმა ბევრი რამ ასწავლა დასავლურ საზოგადოებას. ამ ფენამ ხელში აიღო დასავლეთ ევროპის ქვეყნების მართვა-გამგეობის სადავეები, გადამწყვეტ პოლიტიკურ ძალად იქცნენ სოციალისტური, სოციალ-დემოკრატიული და მუშათა (ლეიბორისტული) პარტიები და მოძრაობები. მათი აქტიური მოღვაწეობით და სხვა სასიკეთო გარემოებათა გავლენით დასავლეთ ევროპის ქვეყნებში 60-იანი წლებისათვის უკვე ჩამოყალიბდა აშკარად გამოკვეთილი სამოქალაქო საზოგადოებანი. ლუთერის მოძრაობის წარმატებების შემდეგ საბოლოოდ დასრულდა ეს პროცესი აშშ-ში, როდესაც თეთკანიანებთან შედარებით თანაბარი სამოქალაქო უფლებები მოიპოვეს ზანგებმა და სხვა ფერადკანიანებმა ქვეყნის სამხრეთ ნაწილში.

სამოქალაქო საზოგადოების რეალური არსებობისა და ფუნქციონირების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია ქვეყანათა მთავრობებზე საერთაშორისო დემოკრატიული მექანიზმების ზემოქმედების ეფექტურობა. თუ ეს მექანიზმები საჭირო, დროულ და შედეგიან გავლენას ახდენენ სახელმწიფო ცხოვრებაზე, ეს ნიშნავს, რომ მოცემული ქვეყნები თავსდებიან საერთაშორისო თანამეგობრობის ცივილური ცხოვრების ჩარჩოებში, რომ მათი სახელმწიფო-პოლიტიკური სტრუქტურები მიახლოვებულია, უკეთეს შემთხვევაში ადექვატურია დასავლეთში კარგა ხნის წინ დამკვიდრებულ და აქტიურად მომქმედ სახელმწიფო და სამოქალაქო-საზოგადოებრივ დემოკრატიულ სტრუქტურებთან და მექანიზმებთან.



არასამთავრობო ორგანიზაციები მოწოდებული არიან ხელი შეუწყონ ადამიანისა და მოქალაქის უფლებების დაცვას, პიროვნეების ღირსებების აღიარებას, მასმედიის თავისუფლებას, დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას ყველა დონეზე, საზოგადოების ჰუმანიზაციას, სახელმწიფოში ძალოვნებისა და ძალდატანების პრიმატის თანდათან შესუსტებას და საბოლოო გაუქმებას და სხვ. მათ ხშირად მეხუთე ხელისუფლებასაც უწოდებენ. საქმე ისაა, რომ დემოკრატიულ სამართლებრივ სახელმწიფოში ისინი ქმედითად ფლობენ საზოგადოებრივი კონტროლის ბერკეტებს.

ჩვენთან არასამთავრობო ორგანიზაციებს მათი ჭეშმარიტი ადგილი ჯერ-ჯერობით სამწუხაროდ დამკვიდრებული არ აქვთ. ის, რაც ჩვენთან გაკეთდა, ამ სფეროში თავისთავად მისასალმებელია, რადგან საქმე მკვდარი წერტილიდან დაიძრა. მაგრამ მათი საქმიანობა ერთობ მოკრძალებულია.

ადამიანს ისეთი შთაბეჭდილება ექმნება, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოს (და არა მარტო ჩვენ) მოევლინენ არა ღია, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების მიზნით. რატომღაც მათ ნაკლებად აინტერესებთ ოპოზიცია, მათი ინტერესები და მოთხოვნები როგორც ხელისუფლების, ისე ქვეყნისა და საზოგადოების მიმართ. ისინი კიდევ უფრო შორს არიან მოსახლეობის რადიკალური ნაწილის ინტერესებიდან. არ აკეთებენ არავითარ განცხადებებს, სადაც ხელისუფლებას მოუწოდებდნენ ოპოზიციასთან კორექტული საქმიანი თანამშრომლობისკენ, საზოგადოებაში დაძაბულობის შესანელებლად, ახალი განხეთქილების შანსების შესამცირებლად. სამოქალაქო საზოგადოებისათვის საშიშროებას ისინი მხოლოდ ეროვნული რეკვიზიტის შენარჩუნებაში, ქართული მართმადიდებლური მრევლის მთლიანობის შენარჩუნების ცდებში ხედავენ. თითქოს სხვა მხრივ ყველაფერი დალაგებული იყოს.



არასამთავრობო ორგანიზაციებს სიტყვა არ დასცდენიათ ქვეყნის მართვა-გამგეობაში ძველი კომუნისტებისდროინდელი მეთოდებით არუ თუ იშვიათად გამოყენებაზე, საზოგადოებაზე ძალოვანი სტრუქტურების პრიმატზე. არაფერს ამბობენ ქვეყანაში ისეთ ანტიკონსტიტუციურ პრაქტიკაზე, როგორიცაა პრეზიდენტის რწმუნებულები რეგიონებში და ფაქტიურად ქვეყნის რეგიონულ დაყოფაზე. არას ამბობენ იმაზედ, რომ გამგებლებს გამგეობები კი არ ირჩევენ, არამედ ქვეყნის თავკაცი ნიშნავს ერთპიროვნულად, რომ ქვეყანას არ ჰყავს პრემიერ-მინისტრი და მთავრობა, რომ ქვეყანაში ათიათასობით ლტოლვილია. 6 წელია სისტემატურად ირღვევა მათი ადამიანური უფლებები, რომ მილიონობით ადამიანი ვერ ახორციელებს თავის კონსტიტუციურ უფლებას შრომაზე, სწავლაზე, დასვენებაზე. დასავლეთის მმართველი წრეები შეშფოთებულია კორუფციის მასშტაბებით დსთ-ს ქვეყნებში და მათ შორის საქართველოშიც, არასამთავრობო ორგანიზაციები კი კრინტს არ ძრავენ საზოგადოებისთვის, მით უმეტეს სამოქალაქო საზოგადოებისთვის, ამ მავნე სენზე.





ახლა ვნახოთ, რა ხდებოდა არჩევნებთან დაკავშირებით? სისტემატურად ირღვევა ორგანული კანონი პარლამენტის არჩევნების შესახებ. ჯერაც მოქმედ დეპუტატებს და ახალი პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატებს არ აძლევდნენ ადგილებზე თავიანთ ამომრჩევლებთან შეხვედრის უფლებას, ტექნიკითა და ავტომატებით შეიარაღებული პოლიცია და გამგეობის წევრები გზაზე წინ ეღობებოდნენ მათ, უკეტავდნენ დარბაზებს, ქვებს ესროდნენ არც მოქალაქეთა კავშირის დეპუტატ ზ. ნოღაიდელის მიმართ მოიქცა კორექტულად ადგილობრივი პოლიცია და ხელისუფლება ქ. ქობულეთში მისი სააგიტაციოდ შესვლის თაობაზე. არადა, პარლამენტის არჩევნების 47-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, გამგეობაც და საკრებულოც მოვალეა, ხელი შეუწყოს წინასაარჩევნო შეხვედრების გამართვას. არც ამაზე გამოუთქვამს არჩევნების წინ რაიმე აზრი არასამთავრობო ორგანიზაციებს. არადა, ისეთი ორგანიზაცია, როგორიც „სამართლიანი არჩევნებია" სისხლხორციელად უნდა იყოს ამ პრობლემებით დაინტერესებული. ნებისმიერი დონის არჩევნები ხომ უშუალოდ და პირდაპირ მისი საქმიანობის სფეროა. მაშ, რატომ დუმს იგი ასე ორაზროვნად?

ეს წერილი არჩევნების წინ დაიწერა და ამდენად, არჩევნების პერიოდში მომხდარ დარღვევებზე, ბუნებრივია, არაფერს ვამბობთ. ეს ცალკე წერილის თემაა და გაზეთის უახლეს ნომერში შემოგთავაზებთ ამ საკითხზე ვრცელ, ანალიტიკურ წერილს. ერთს დავძენთ მხოლოდ: არჩევანი, რომელიც მიმდინარე საპარლამენტო არჩევნებში საქართველოს მოსახლეობამ გააკეთა, თუ გააკეთებინეს, ფრიად საეჭვოა სამოქალაქო საზოგადოების აშენებისკენ იყოს მიმართული, რადგან ის ძალა, რომელსაც ექნება მადომინირებელი როლი მომავალ პარლამენტში, ამისკენ მოწოდებული ნამდვილად არ არის თავისი მენტალიტეტით, მართვის სტილით და სახელმწიფოებრივი აზროვნებით. ეს კარგად გამოჩნდა წინა პარლამენტში მისი მოღვაწეობის ოთხწლიანი პრაქტიკიდანაც.

გიორგი ბეჟუაშვილი

პრობლემა

# პროგრესსა და რეგრესს შორის მერყევი საქართველო

მე-3 გვერდიდან.

ტო ბავშვები და მოზარდები, მშობლების დიდი ნაწილიც არ უნდა უყურებდეს, რადგან დაუხვეწელი გონებისათვის ძნელია ნამდვილი კინოს (როგორც სიმართლის) აღქმა და გაგება.

კარგის თუ ცუდის გარჩევა თითქოს არც „დიდებს" ესწავლებათ, მაგრამ რომელი პორნოგაზეთის გამყიდველი ეუბნება უარს მოზარდებს პორნოგაზეთზე? ან თუნდაც რომელ სკოლაში უკეთებენ კულტუროლოგიზაციის საკითხებს პროპაგანდას? ეროვნული თვითშეგნება და სამყაროს სწორი აღქმის უნარი როგორ უნდა განუვითარდეს ბავშვს, როცა ყველგან ზღვარგადასული უზნეობა და ამორალიზმი სუფევს.

უარესი რამ ხდება კინოთეატრებში. თუ ყველაფერს ბიზნესის თვალით შევხედავთ, ეკონომიკური სიდუხჭირის ფონზე, არც ისე ცუდია, თუ ვიღაც-ვიღაცეების ჯიბის გასქელების მეთოდი ძალიან მყვირალა სათაურებით ეროტიკული და სუპერ-ეროტიკული ფილმებია. როგორც შევიტყვე, ზოგჯერ ასეთი „ხელოვნებით" გატაცებულები გაწბილებულები რჩებიან, რადგან რეკლამა ძალიან ხშირად თურმე არ ემთხვევა ფილმში ასახულ სცენებს, ზოგჯერ პირიქით, როცა ეროტიკული ან თუნდაც პორნო-ეროტიკული ჰგონიათ, ნანახი მოლოდინს გადააჭარბებს ხოლმე და პორნოგრაფიის, ყოველგვარი სისაძაგლის მხილველნი ხდებიან.

რა თქმა უნდა, ყველაფერს ცუდს კონსერვატორები სიახლესთან ერთად შემოჭრილ უცხოურ ცივილიზაციას აბრალებენ, საიდანაც ცუდი ასე კარგად შეერწყა ჩვენს მენტალიტეტს, კარგი კი თითქმის განზე დარჩა. ჩვენი ეროვნული ფსიქოლოგიის ნიშანს წარმოადგენს ის, რომ ყველაფერი ცუდის მიზეზი სხვაში გვგონია, მაგრამ ამავე დროს კარგსაც იქ ვეძებთ. ვისთვის სავალალოა და კისთვის კი ბიზნესის ერთ-ერთი წყარო (რა თქმა უნდა, ბიზნესის თვალსაწიერიდან ისევ და ისევ) ქართველი მანდილოსნების „კდემამოსილების", ანუ პროსტიტუციის „ექსპორტი" თურქეთში და ახლა უკვე სხვა ქვეყნებშიც. რასაც არ უნდა დავაბრალოთ, ეს ჩვენი ერის უბედურებაა და არც უნდა გაგვიკვირდეს ღამის კლუბების, მასაჟის კაბინეტების,



საუნების ბორდელებად გადაქცევა, სუტენიორების არა თურქეთში, არამედ საკუთარ ქვეყანაში „ვაჭრობა" (თურმე დიდი შემოსავლით) და თან „ეროვნული საქონლით".

აუცილებელია, ოფიციალური სახე მიილოს ყველაფერმა ამან, სადაც სამედიცინო გამოკვლევების შემდეგ ექნებათ უფლება განსაზღვრული ასაკის მქონე ქალებს „გაწევრიანდნენ" და ჩვენი მომავლის, ბავშვების გულისთვის აიკრძალოს ქუჩაში, ყველას თვალწინ უმსგავსო „გამოფენა-გაყიდვის" ან „გარიგების" მოწყობა.

აღნიშნულ თემაზე რამდენიმე მოზარდს გავესაუბრე. მოდით, ახლა მათ მოვუსმინოთ:

ეკა (17 წლის) – ისეთ დროში მოგვიწია ცხოვრება, რომ არანაირი სექსუალური ურთიერთობებისა არ გვიკვირს. რაღაც ახალს ვეძებთ... გაირყვნა საზოგადოება, 17-20 წლის ქალწულები გასაკვირი გახდა. რა თქმა უნდა, დასავლური ცივილიზაცია საჭიროა, მითუმეტეს, ევროპულ ოჯახში გავწევრიანდით, მაგრამ მე მაინც საამისოდ მზად არა ვარ.

ერთი პერიოდი პორნოგრაფიულ გაზეთებს ხშირად ვკითხულობდი, ახლა კი აღარ მაინტერესებს. მიმაჩნია, რომ ყვითელი პრესის არსებობა აუცილებელია, მაგრამ მათი გავრცელება რაღაც ნორმას უნდა ექვემდებარებოდეს.

... შეყვარებული არა ვარ. და საერთოდ, იცით, რა ვისწავლე?! „არავინ ისე არ უნდა შეიყვარო, რომ შენი ცხოვრებიდან გაშვება დაგენანოს!"

აკაკი (14 წლის) – პორნოგრაფიული გაზეთი მხოლოდ სამჯერ მაქვს ნაყიდი. აღარ მაინტერესებს. მე უკვე გარკვეული ვარ, მაგრამ გამოივლის მეორე, მესამეკლასელი და ისიც დაინტერესდება. ჩემს ასაკში სექსი ნაადრევი არ არის, აქედანვე უნდა გავერკვე. ჩემს გარშემო ასეთები ბევრნი არიან. განსაკუთრებით კარგ ოჯახში გაზრდილები, „დედიკოს შვილები" ფუჭდებიან ადვილად.

მე მიუღებლად მიმაჩნია ყოველ მოსახვევში, საარჩევნო პლაკატებივით პორნოგრაფიული გაზეთების ჩამოკიდება.

ირინა (14 წლის) – (ჩემს ძალებს აღემატება ამ გოგონას მონათხრობი ფურცელზე გადმოვიტანო). ნათქვამის ინტერპრეტაციისათვის მისი ერთი ფრაზაც კმარა: „თქვენი თაობა „ჯარისკაცის მამაზე" აღზრდილი, ჩვენ კი – „Красотка"-ზეო. და რატომ გიკვირთ ჩვენი?!" (და მართლაც რა არის გასაკვირი!, თუმცა დასანანი კია).

სამწუხაროდ, თავისუფლება თავაშვებულობის სინონიმი გახდა და ის არანაირ კონტროლსა და მეთვალყურეობას არ ემორჩილება, რადგან ის კრიტერიუმები, რომლითაც პიროვნების სულიერი სახე ისაზღვრებოდა და ფასდებოდა, ფასდაკარგული გახდა. ყველა პიროვნული და ეროვნული მეობაწაშლილი ქართველის ჭაობიდან ამოთრევა, დანგრეული შენობის ხელახლა აშენებლის ფუნქცია დაკისრებულმა მასმედიამ, საინფორმაციო წყარომ უნდა იტვირთოს ისევე, როგორც გადარჩენილმა ქართველმა ინტელიგენციამ და ყველა ჭეშმარიტმა ადამიანმა.

ირმა ურბეხაშვილი

დასასრული. დასაწყისი „საქართველო" №31

აფხაზეთის ტრაგედია

# აფხაზეთი – დევნილთა მოუშუშებელი ტკივილი და ოცნება

## — თვითმხილველის მოგონებები —

შემდეგ მან მომკიდა ხელი კოსტუმის საყელოზე და შემანჯღრია. გავახილე თვალები და ვიცანი, ის ქალი იყო აფხაზი, ალა ახუბა, რომელსაც ხუთი წლის წინათ, 1988 წლის პირველ მაისს დავეხმარე სამი წლის შვილიშვილის მოძებნაში, რომელიც იმ დღეს პარადზე რვა წლის დას წაუყვანია და ხალხში დაკარგოდა. ყველაფერი რომ მიწყნარდა შტაბში, ამ აფხაზმა ქალმა დამამშვიდა და წამიყვანა სოხუმის რაიონის გამგებელს ელაპარაკა მას აფხაზურ ენაზე. რაიონის გამგებელი სლავიკ ავიძბა, არ ვიცნობდი. რას ელაპარაკა აფხაზურად ენის უცოდინარობის გამო ვერ გავიგე. გამგებელმა აიღო ფურცელი, რაღაც დაწერა და მისცა პირად მდივანს, რომელმაც დაბეჭდა და მოუტანა. გამგებელმა ავიძბამ მოაწერა ხელი, დაუსვა ბეჭედი და მომაწოდა. ეს ხელშეუხებლობის საბუთიაო, მაგრამ ამის იმედად ნუ იქნები მაინც. ახლა სიტუაციაა ისეთი, ქალაქში გვარდიელები მთვრალები დადიან და შეიძლება ამ საბუთს სულ არ დახედონ და რაიმე შეგემთხვესო, გამაფრთხილა. შემდეგ ჯიბიდან ამოიღო ათასმანეთიანები და გამომიწოდა. მე მოწყალებას არ ვითხოვ-თქო ვუთხარი. მან მითხრა, ეს მოწყალება არ არის. ამით დროებით პურს იყიდიო. შენ კუპონები გექნება და კუპონებზე პურს ქალაქში არ მოგცემენო. მართლაც, სოხუმის დაცემის შემდეგ ქალაქში გუდაუთიდან მოქონდათ პური და ყიდდნენ 90 რუსულ მანეთად. მე არ ავიღე გამგებლის მიერ მოწოდებული ფული, შემდეგ მან გამოგვაცილა მისაღებში და ჩამიდო კოსტუმის ჯიბეში ის ფული. ვიფიქრე, შეურაცხყოფად მიიღებს-თქო და ფული უკან აღარ მიმიბრუნებია. ვნახე, რომ ეს ფული ცამეტი ათასი მანეთი ყოფილა. როგორც აღვნიშნე, ავიძბას მე არ ვიცნობდი, მაგრამ მან ამით პატივისცემა გამოხატა, იმ აფხაზის ქალის – ა. ახუბასადმი, რომელმაც აფხაზურად გააცნო ის ამბავი, რომ ხუთი წლის წინათ ბავშვის მოძებნაში დავეხმარე. რაიონის გამგეობიდან გამოსვლის შემდეგ წამიყვანა სახლში. ა. ახუბამ სადილზე დამაპურა და იცოდა რა, რომ ჩემი სახლი დაწვეს, მითხრა: თუ დარჩები, ერთ ოთახს მოგცემო. მე მადლობა გადავუხადე და ვუთხარი: ჩემიანები წასულები არიან, ვინ ცოცხალია და ვინ დაღუპული არ ვიცი და უნდა წავიდე-თქო. მან ხელჩანთაში ჩამიწყო საგზალი, გამომაცილა სოხუმის ქალაქის საბჭოსთან, სადაც იდგა იკარუსის მარკსი ავტობუსი. მივიდა და ჰკითხა მძღოლს, საით მიდიხარო. მძღოლმა უთხრა, ინგირშიო. ა.ახუბამ მისცა 3000 მანეთი და უთხრა, ეს კაცი მიმიყვანე ხელშეუხებლად ინგირამდეო და გამომამგზავრა, მისურვა აფხაზეთში მალე დაბრუნება. აი, სად გამომადგა ჩემი სიკეთე. ხალხური გამოთქმა: „კარგი ქენი, ქვაზე დადე, გაივლი და წინ დაგხვდებაო", აქ გამოვლინდა. ის ქალბატონი აფხაზი ალა ახუბა ჭეშმარიტი აფხაზია. არ არის ექსტრემისტი. არძინბას მომხრე, ის აფხაზებისა და ქართველებს შორის მომხდარი ტრაგედიის გამო ძალიან ნერვიულობდა.

1993 წლის 27 სექტემბრიდან, სოხუმის დაცემის შემდეგ ერთი თვის განმავლობაში ჩემს მიერ გადატანილი ტანჯვა, წამება, დევნა, მუქარა, შიმშილი, უძილობა, ყოველ წუთში სიკვდილის მოლოდინი, ამასთანავე დაღუპული მეზობლების გვამების ხილვა, რომელთაც ძაღლები და ღორები ბილწავდნენ. ჩვენ კი ავტომატიანი ბოევიკების შიშით ვერ ვახერხებდით გამოჩენას და შემდეგ ამ წაბილწულ გვამებს ახლობელი და საყვარელი ადამიანების, ღამით ვიპარავდით და მანდარინების პლანტაციებში ვმარხავდით. უძილობით და შიმშილით ღონემიხდილი, დღესაც ვერ გამოვსულვარ მდგომარეობიდან. მახსენდება 34 წლის ალექსანდრე გერცენის ნაამბობი: 1848 წლის ივნისში, როცა იგი პარიზში ჩავიდა, დაიწყო საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია. ა. გერცენს საფრანგეთში იცნობდნენ, როგორც რევოლუციონერს და პროლეტარიატის ინტერესების დამცველს, რის გამოც საფრანგეთის ბურჟუაზიულმა მთავრობამ ის პარიზში ჩასვლისთანავე დააპატიმრა, რაზედაც ა. გერცენი წერდა: „საშინელებაა, როდესაც საკანში ხარ ჩამწყვდეული და გარედან გესმის ადამიანების კვნესა, ადამიანების კივილი და გრძნობ, რომ გარეთ ადამიანებს კლავენ, ადამიანებს ჩეხავენ და არა გაქვს საშუალება მათ დაეხმარო. ასეთ შემთხვევაში შეიძლება ადამიანი მოკვდე, შეიძლება გაგიჟდე, მე არ მომკვდარვარ, მაგრამ მოვხუცდი". იგი ყურით ისმენდა გარედან ადამიანების კვნესას და ადამიანების კივილის, მე კი თვალით ვხედავდი ახლობელი დახოცილ-დაჩეხილი ადამიანების გვამებს ქუჩაში, რომელსაც ძაღლები და ღორები ბილწავდნენ და არ მქონდა საშუალება მათი მოშორებისა, ვინაიდან ყოველ წუთს სიკვდილის მოლოდინში ვიყავი ხანდაზმული ადამიანი.

დანტეს ჯოჯოხეთი უფრო მკრთალად გამოიყურება ყოველივე იმასთან, რის მხილველიც პირადად მე და ჩემი მეზობლები გავხდით. ჩვენი გაძარცული ოჯახები და დამწვარი სახლები, სიკვდილის მომლოდინე, შიმშილით, უძილობით გაწამებული ადამიანები. მუდამ დასამალავად მზადყოფნა, მტერს სამაგიეროს ვერ უხდი და მის წინაშე დგახარ დამცირებული, დაჩაჩანაკებული, შეგინებული... ამაზე მეტი ჯოჯოხეთი რაღა იქნება?

1993 წლის 27 ოქტომბერს ძლივს ჩამოვაღწიე ზუგდიდში. უკვე დაბინდებული იყო, ვინაიდან იქ ნათესავი და ახლობელი არავინ მყავდა, მივედი ლტოლვილთა შტაბში. საღამოს ათ საათზე ლტოლვილთა შტაბში, სადაც სკამებზე ჩამომსხდარნი ღამეს ვათევდით ასამდე ლტოლვილი. გამოაცხადეს, რომ პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ჩამოვიდა ჩეჩნეთიდან და ჩამოიყვანა 300 კარგად შეიარაღებული ჩეჩენი მეომარი ჩვენი შტაბის ახლოს, მეორე კვარტლის ხუთსართულიან შენობაში იმყოფება და ხვალ დილის 12 საათზე მიტინგს ატარებს და ყველა ლტოლვილი და ადგილობრივი მოსახლეობა მიწვეული ვართ მიტინგზეო. მე ვერ მოვითმინე და აღშფოთებულმა ვკითხე, ვის წინააღმდეგ ჩამოიყვანა ექსპრეზიდენტმა ის სამასი შეიარაღებული ჩეჩენი მეომარი-თქო, მაგრამ პასუხი არავინ გამცა. ერთი საათის შემდეგ შტაბში შემოიტანეს და ჩამოარიგეს ლტოლვილებზე პურის ნაჭრები (დაახლოებით თითოეული 100-150 გრამი) და გამოაცხადეს, ეს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ლტოლვილებისადმი ყურადღებააო. მე აფხაზი ქალბატონის მიერ გამოტანებული საგზალი მქონდა და პური არ ამიღია. მეორე დღეს მე არ წავსულვარ

გაგრძელება მე-8 გვ

# ბატონო ედუარდ, თქვენ უნდა გადადგეთ, ვინაიდან საქართველოში თქვენი ჩამოსვლის დღიდან ფეხქვეშ ითელება ადამიანის ყველა უფლება..

შვიდი წელიწადია, რაც საქართველოში ხელისუფლება შეიცვალა. სისხლიანი სამხედრო გადატრიალების ორგანიზატორებმა ჩვენს ქვეყანაში ჩამოიყვანეს ყოფილი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე, რომელიც ერს დემოკრატიის, ადამიანთა უფლებების დაცვის, უმაღლესი ქრისტიანული ფასეულობების მატარებლად წარუდგინეს მისმა თანამოაზრეებმა, დასავლეთის ზოგიერთმა პოლიტიკურმა მოღვაწემ და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა.

ჩვენი ასოციაციის (აწ უკვე ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო საზოგადოების ასოცირებული წევრის) წმიდათა-წმიდა მოვალეობად მიგვაჩნია განვიხილოთ ხსენებული პერიოდი და გამოვხატოთ ჩვენი დასაბუთებული დამოკიდებულება სახელმწიფოს ე.წ. პრეზიდენტისა და არსებული ხელისუფლებისადმი. ჩვენი მოსაზრებანი დამოკიდებულია საზოგადოებრივი აზრის შესწავლაზე, რომელშიც რამდენიმე დამოუკიდებელი სოციოლოგიური გამოკითხვა და ხალხთან ჩვენი პირადი კონტაქტი დაგვეხმარა.

ასოციაციას მიაჩნია, რომ ბოლო შვიდი წლის განმავლობაში, საქართველოში ფეხქვეშ ითელება ადამიანის ელემენტარული უფლებები და ძირითადი თავისუფლებანი, აგრეთვე სისტემატურად და უხეშად ირღვევა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მთელი რიგი მუხლები, განსაკუთრებით მე-3, მე-7, მე-9, მე-11, მე-12, მე-17, 21-ე, 22-ე, 23-ის I-II-III, 28-ე და 30-ე მუხლები; აგრეთვე საქართველოში სისტემატურად ირღვევა ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის საკითხებზე თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა კონფერენციის, შეხვედრების და კერძოდ, კოპენჰაგენის თათბირის დოკუმენტის (5,9), (5,10) (5,11) (5,13) (5,16) (5,18) (5,19) (9,2) (10,1) (16,1) (16,2) (16,3) (16,4) (16,5) (16,6) (16,7) (25,4) (26) მუხლები. თქვენის მეცადინეობით არსებული რეჟიმი იგნორირებას უკეთებს თითქმის ყველა ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში.

ბატონო ედუარდ, თქვენ უნდა გადადგეთ, ვინაიდან საქართველოში თქვენი ჩამოსვლის დღიდან სასტიკად ირღვევა ადამიანისათვის ყველაზე მთავარი და უძვირფასესი, ღვთით ბოძებული უფლება-სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. პოლიტიკური მრწამსის გამო ადამიანებს ხოცავდნენ და ამჟამად ბარბაროსულად არბევენ მშვიდობიან მიტინგებზე და მშვიდობიან დემონსტრაციებზე. განსაკუთრებით, საშინლად მოექეცით საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას, ჯერ უსამართლოდ განდევნეთ, შემდეგ კი ფიზიკურად გაანადგურეთ იგი; ამჟამად კვლავ გრძელდება ზვიად გამსახურდიას ოჯახის დევნა-შევიწროება. ამჟამადაც განსაკუთრებული დევნაა გაჩაღებული პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრეებზე ან მათზე, ვინც თქვენს დანაშაულებრივ პოლიტიკას ხმამაღლა ამხელს.

თქვენი ჩამოსვლის დღიდან მრავალი ადამიანია დახოცილი პოლიტიკური მოსაზრებების გამო. არაადამიანური სისასტიკით დახოცილთა შორის შეგვიძლია დავასახელოთ მხატვარი გ. გოცირიძე, პოეტი ბ. ბერიაშვილი, პედაგოგი ვ. გოგსაძე, სულიერად ავადმყოფი ახალკაზრელი კაცი მერაბ კვარაცხელია და მრავალი სხვა.

ურიცხვი მსხვერპლი მოჰყვა სამეგრელოს დასამორჩილებლად არაერთხელ თქვენს მიერ გაგზავნილ დამსჯელ ებსპედიციებს. სამეგრელოში ყოველი მეორე ოჯახი ძაძით შემოსა, დაობლდნენ ბავშვები, დაქვრივდნენ ქალები. ამ ე.წ. პოლიტიკური აქციის მსხვერპლი გახდნენ რეზო ლეჟავა, ავთო ჟღენტი, მურთაზ მიქავა, გურგენ ფირცხალავა, რადიონ ჯალაღონია, მერაბ ქარდავა, ნუგზარ ძვაბავა, გია ნაყოფია, ბორის ხალვაში, გია შედანია, რამაზ როგავა... ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია.

საქართველოში მრავლად არიან პოლიტპატიმრები. თქვენს მიერ გამომწყვდეული 200-მდე პოლიტპატიმრის მდგომარეობა მეტად საგანგაშოა. ადგილი აქვს ადამიანთა არაადამიანურ დაკითხვებსა და წამებას სასურველი ინფორმაციის გამოძალვის ან მოგონილი ბრალდებების წაყენების მიზნით. ამ ბარბაროსულ მეთოდებს შეეწირა პოლიტპატიმრები ვახტანგ გოგსაძე, დავით ლოლაძე, მალხაზ ღვინიაშვილი და სხვა. თვით ფიურერის კონცლაგერებს შეშურდებოდათ ის ქმედებები, რასაც ადგილი აქვს პენიტენციალურ სისტემაში; არა ერთი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციები არიან შეშფოთებულნი შუა საუკუნეების ინკვიზიციით, რასაც ადგილი აქვს წინასწარი დაკავების საკნებში და იზოლატორებში: (გაერო, ევროპარლამენტი, ევროსაბჭო, ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტიტუტი).

გაუთავებელ პოლიტიკურ სასამართლო პროცესებს ბოლო არ უჩანს, ფაქტიურად, თქვენ განსასჯელის სკამზე დასვით დამხობილი კონსტიტუციური ხელისუფლების წარმომადგენლები და მათი მომხრეები. მძვინვარებს პოლიტიკური, ფიზიკური ანგარიშსწორება პოლიტიკური ოპონენტების და თავისუფალი აზრის მქონე ადამიანების წინააღმდეგ. თქვენს შექმნილ „კონცლაგერში“ უკვე შვიდი (7) პოლიტპატიმარი გარდაიცვალა.

საქართველოში თქვენი დანაშაულებრივი პოლიტიკის შედეგად გაჩნდნენ ქართველი ლტოლვილები. მათი რიცხვი 300 ათასზე მეტს წარმოადგენს. თქვენს ხელისუფლებას მათი ბედი არ აღელვებს, რადგანაც ლტოლვილების სიცოცხლეც ისევე დაუცველია, როგორც ყველა სხვა არაპრივილეგირებული ქართველის სიცოცხლე. დაგომისის ხელშეკრულებით ქვეყანას შიდა ქართლის ტერიტორია ჩამოსცილდა, ხოლო თქვენს მიერ დაწყებულ ომს აფხაზეთში, ყველამ იცის, თუ რა მძიმე შედეგები მოჰყვა. აქვე აღვნიშნავთ, რომ ლტოლვილები სამაჩაბლოდან და აფხაზეთიდან უკიდურეს გაჭირვებას განიცდიან, ყოველმხრივ შელახულია მათი მოქალაქეობრივი და ადამიანური ღირსება. აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან გამოდევნილი ქართველი ლტოლვილებისათვის არ არსებობს არც ეროვნული და არც საერთაშორისო სამართალი.

ჩვენს რესპუბლიკაში ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა ხდება არა მხოლოდ პოლიტიკური მოტივებით, არამედ ძარცვა-გლეჯის მიზნით, ქვეყანაში დაკანონდა რეკეტი, ნარკომანიის არნახული თარეში, ყაჩაღობა, პირადი ქონების ქურდობა, გაუპატიურება და სხვა მრავალი საზარელი დანაშაული. სამართალდამცავი ორგანოები არ ასრულებენ თავის მოვალეობას, რის, გამოც საქართველოში ყოველი რიგითი მოქალაქე თავს გრძნობს სრულიად დაუცველად და უსუსურად, რაც ბუნებრივია, იწვევს ხელისუფალთა მიმართ უნდობლობას და უკმაყოფილობას. ხოლო, თუკი ეს უკმაყოფილება მშვიდობიან მიტინგსა და დემონსტრაციაში გადაიზრდება, აქ „სამართალდამცავები“ ჭეშმარიტი „დემოკრატიულობით“ სასტიკად არბევენ მიტინგებს, რაზედაც ასოციაციამ და ყველა კეთილი ნების ადამიანმა არაერთხელ გამოხატა ოფიციალური პროტესტი. თქვენ პოლიცია და სხვა ძალისმიერ სტრუქტურები გადააქციეთ ხალხის სადამსჯელო [illegible]; თქვენი მმართველობის ჟამს, სახელმწიფო სამართალდამცავი ორგანოები (პოლიცია, უშიშროების სამინისტრო, პროკურატურა, სასამართლო) ემსახურებიან არა კანონის უზენაესობის პრინციპს, არამედ თქვენს გამყვებულ რეჟიმს, რის გამოც სამართლებრივი ვანდალიზმი სუფევს ჩვენს ქვეყანაში.

თქვენ ეკონომიკური „რეფორმების“ წყალობით ქვეყნის მოქალაქენი უკიდურეს ეკონომიკურ გაჭირვებაში ჩავარდნენ და სოციალურად დაუცველნი აღმოჩნდნენ. საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა სიღატაკის ზღვარს ქვევით იმყოფებიან, შიმშილობენ მოხუცები, პენსიონერები, ინვალიდები, ბავშვები და სხვები. სახელმწიფოში ზეობს კორუფცია, ფაქტიურად თქვენის ხელდასმით შექმნილია მაფიურ-ოლიგარქიული კლანი – საერთო განუკითხაობა და ქაოსი ადამიანთა ცხოვრების ყველა სფეროს შეეხო. ვფიქრობთ, რომ საქართველო ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, რომლის მოქალაქეებს არ გააჩნიათ ხელფასი, რომელიც განსაზღვრულია საერთაშორისო ნორმებით. გაჩნდნენ უამრავი უმუშევრები, რომელთა დასაქმებაზე და მატერიალურ უზრუნველყოფაზე თქვენი მმართველობა საერთოდ არ ფიქრობს. უნდა აღვნიშნოთ ერთი საშინელი ტენდენციაც; ადამიანები სიცოცხლეს თვითმკვლელობით ამთავრებენ, ვინაიდან ვერ ხედავენ გამოსავალს არსებული სიტუაციიდან. თქვენი რეჟიმის პირობებში სასტიკად ილახება არა მარტო პოლიტიკური, არამედ სოციალური უფლებებიც. თქვენ შექმენით ავტორიტარულ-ტოტალიტარული, პოლიციური რეჟიმი, რაღა თქმა უნდა, აზიურ ფორმებში.

იდევნება თავისუფალი აზრი და ოპოზიციური გამოცემები, სამაგიეროდ, თქვენ შექმენით მონოპოლიზირებული საინფორმაციო მექანიზმი (იგულისხმება რადიო-ტელევიზია და სხვა საინფორმაციო საშუალებები), თვით გებელსის პროპაგანდას რომ შეშურდებოდა. თქვენი ტელევიზია დახშულია რეჟიმის პოლიტიკური ოპონენტების და დემოკრატიული აზრის მქონე ადამიანებისათვის. ხალხი მოკლებულია ობიექტურ და მართალ ინფორმაციებს.

დარღვეულია ერის უდიდესი ნაწილის, ამომრჩეველთა ნება (იხ. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 21-ე მუხლი) 1990 წლის 28 ოქტომბრის, 1991 წლის 31 მარტის, 1991 წლის 26 მაისის ჭეშმარიტად დემოკრატიული და პატიოსანი არჩევნებისა და რეფერენდუმის მონაპოვარი, რომელიც ხელყოფილ იქნა სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების გამო. ამის შემდგომ საქართველოში მოაწყვეთ ე.წ. არჩევნები, რისთვისაც გინდოდათ, რომ ლეგიტიმურობის საბე მიეცა თქვენს მმართველობას, მაგრამ საზღვარგარეთის დამკვირვებელთა რამდენიმე ჯგუფმა, კერძოდ, დიდი ბრიტანეთისა და ფინეთის ადამიანის უფლებების დაცვის ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა არადემოკრატიულად ცნეს.

ქართველი ერის ღირსება ყოველმხრივ შელახულია. არ ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის იურისდიქცია შიდა ქართლსა და აფხაზეთში, ნაწილობრივ მესხეთ-ჯავახეთის ტერიტორიაზე.

ბატონო ედუარდ, თქვენ უნდა გადადგეთ, ვინაიდან არა გაქვთ არც იურიდიული, არც მორალური უფლება გეკავოთ სახელმწიფო მეთაურის თანამდებობა. უნდა გადადგეს აგრეთვე ყველა ის პირი, ვინც ხელი შეუწყო საქართველოში არსებული რეჟიმის ძალადობით დამკვიდრებას. უნდა აღსდგეს საქართველოს მოსახლეობის ამომრჩეველთა ნება, ვინაიდან ამ ნების ძალისხმევით ქვეყანა გამოიყვანა რუსეთის იმპერიის შემადგენლობიდან და გახადა თავისუფალი. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს კვლავ ემუქრება სომალიზაცია; სხვა გზა ჩვენი ქვეყნის ხსნისა დღეს არ არსებობს.

*სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი, საერთაშორისო „ამნისტიის“ წევრი, საქართველოს ეროვნული აკადემიის საპატიო წევრი:*

*გიორგი კერვალიშვილი*

## აფხაზეთის ტრაგედია

# აფხაზეთი – დევნილთა მოუშუშებელი ტკივილი და ოცნება

## — თვითმხილველის მოგონებები —

*მე-7 გვერდიდან.*

მიტინგზე. ვინც წავიდა, მოიტანეს ამბავი, რომ მიტინგი ჩაატარა ზვიადმა და გამოაცხადაო „ჩვენ დროებით დავიხიეთ უკან, დავტოვეთ ფოთი, სენაკი, სამტრედია, ახლა შევუტევთ და თბილისამდე მივალთო. მე ვფიქრობდი, როგორ გავიდე აქედან-თქო. მატარებელი ზუგდიდი-თბილისი არ მოძრაობდა, ვინაიდან ხობში და სენაკში ამბოხება იყო, რის გამოც სამ დღეს ვიმყოფებოდი



ზუგდიდში – ლტოლვილთა შტაბში. 30 ოქტომბერს დიდი წვალებით ჩამოვედი სატვირთო ავტომანქანით, ფოთში, იქედან კატერით ზღვაზე ბათუმამდე, ბათუმიდან მატარებლით, ძლივს ჩამოვაღწიე 31 ოქტომბერს თბილისში.

ერის გახლეჩამ და ურთიერთდაპირისპირებამ, რითაც ისარგებლეს მტრებმა, მიგვიყვანა ქართველი ხალხი იმ უბედურებამდე, რაც დაგვემართა.

აფხაზეთი დევნილთა მუდმივი ოცნება და მოუშუშებელი ტკივილია, რადგან იქ გვეძახის ჩვენი წინაპართა და ძმათა-მკვლელ ომში დაღუპულთა სულები. აფხაზეთში დაბრუნება ჩვენი მთავარი საზრუნავია. აფხაზთა და ქართველთა შეცდომებით, რომელიც გადაიზარდა შეიარაღებულ კონფლიქტში, ბევრი უმანკო სისხლი დაიღვარა აფხაზეთში, რომელსაც ისტორია არ გვაპატიებს. მე წინააღმდეგი ვარ აფხაზეთში დასაბრუნებლად ძალისმიერი მეთოდების გამოყენების და ახალი სისხლისღვრის დაწყების, რისთვისაც მთლიანად ვიზიარებ და სამართლიანად ვთვლი გამოჩენილი მეცნიერის, ჭეშმარიტი აფხაზის, აკადემიკოს ლორიკ მარშანიას პროგრამას ქართველ-აფხაზთა კონფლიქტის მოწესრიგების გზების შესახებ, რისთვისაც აუცილებელია ახლა მომქმედი აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს (ორივე მხარის) დაუყოვნებლივ გადადგომა და ამით აფხაზეთის დეპუტატთა უფლებამოსილების შეჩერება, რომლებმაც ვერ შეძლეს მშვიდობიანი, პოლიტიკური გზით თავიდან აეცილებინათ ტრაგედია და დაკარგეს თავიანთ ამომრჩეველთა ნდობა. ამასთანავე, ცნობილია, რომ აფხაზეთის პარლამენტის დეპუტატთა შორის არიან სახელმწიფო დამნაშავენი, რომლებიც სისხლის სამართლის პასუხისგებაში უნდა მიეცნენ. – სოხუმში მომუშავე გუდაუთის მთავრობის გადადგომა. – დროებით ქ. თბილისში მოქმედი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის გადადგომა. კომიტეტის ჩამოყალიბება ახალი არჩევნების მოსაწყობად, მასში უნდა შევიდნენ სრულიად ახალი ადამიანები – აფხაზეთის ქალაქებისა და რაიონების წარმომადგენლები, რომლებსაც ხალხი ენდობა დემოკრატიული არჩევნების გზით.

გასულ წელს სამართლიანად წერდა ერთ-ერთ ცენტრალურ გაზეთში ლტოლვილი, ბატონი მალხაზ სიხარულიძე, „ჩვენ რომ ლტოლვილები ვართ, ამაში ლომის წილი აფხაზეთის უნიჭო ქართველ დეპუტატებს და მინისტრებს მიუძღვისო“. ხალხი უკვე მათ აღარ ენდობა. არჩევნების ჩატარების შემდეგ აუცილებელია შემუშავდეს მომავალი „დემოკრატიული აფხაზეთის“ სახელმწიფო იდეოლოგია, რომელიც უნდა შეიცავდეს ყველაზე უმთავრეს პრობლემას – მოზარდი თაობის აღზრდას. ეს მუშაობა უნდა წარმოებდეს სისტემატურად ოჯახური კერიდან დაწყებული, საბავშვო დაწესებულებებში, სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში. ბავშვებს ფსიქიკაში საბოლოოდ უნდა ჩავუნერგოთ, რომ ჩვენ აფხაზეთის მოსახლეობა და, პირველ რიგში, მისი მკვიდრი მცხოვრებლები – აფხაზები და ქართველები „მიწისა და წყლისმიერი ძმები“ ვართ. უკვე დროა, ერთმანეთისაკენ შევბრუნდეთ საერთო ინტერესებისათვის, ჩვენი ხალხების მომავლისათვის ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოწესრიგებისათვის აუცილებელია იმ ათეულ ათასობით ჭეშმარიტ აფხაზებთან, რომლებმაც ექსტრემისტთა რეჟიმის გამო დატოვეს აფხაზეთი და ლტოლვილები არიან რუსეთში, უკრაინაში, ბელორუსიაში, მათთან ერთად ზემოთაღნიშნული სადად მოაზროვნე ხანდაზმულ აფხაზებთან, რომლებიც აფხაზეთის უნივერსიტეტის გაყოფის კატეგორიული წინააღმდეგი იყვნენ, სისტემატური კავშირითა და დახმარებით მივაღწიოთ შერიგებას და მშობლიურ კერაზე ლტოლვილთა დაბრუნებას. თუ გერმანელებმა 300 ათასი ქართველი ვაჟკაცი 1941-1945 წლების ომში მოგვიკლეს და მაინც შევრიგდით და დღეს მეგობრულად ვცხოვრობთ ქართველები და გერმანელები, ასევე უნდა მოხდეს შერიგება ქართველებსა და აფხაზებს შორის. მომავალი თაობებისათვის მწარე გაკვეთილად უნდა დარჩეს ქართველ-აფხაზთა შეცდომებით მე-20 საუკუნის 90-იანი წლების ტრაგიკული შედეგები და 21-ე საუკუნე მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და მეგობრობის ხანა გახდეს.

**ლომიძე სერგო**

*პედაგოგი, ლტოლვილი სოხუმიდან*

გაგრძელება. დასაწყისი „საქართველო“ №31-41

## წარსულის ფურცლები

# 1924 წლის აგვისტოს აჯანყება

## ლეო რუხაძის დღიურებიდან



### 18 ოქტომბერი

„იზვესტიაში“ მოწინავეა სტეკლოვის: საქართველოზე მოყავს ცნობები, რომ რუსი მემარჯვენეთა გაზეთებიც კი იცავენ საქართველოსო. „ნოვოე ვრემიაში“ პროფ. პოგიდინს მოუთავსებია ვრცელი წერილი, სადაც თურმე თანაგრძნობას გამოსთქვამს ქართველი ხალხისადმი. იმავე გაზეთში ყოფილა სტამბოლიდან წერილი საქართველოს შესახებ. კორესპონდენტი დასტირის თურმე, რომ მთის არწივებს, რაინდ ქართველ ხალხს პირდაპირ ანადგურებენ და საქართველოში აპოკალიპსიური საშინელება სდგასო. სტეკლოვი აღშფოთებულია ასეთ კამპანიით და გაკვირვებით კითხულობს, რომ ამ საქმეში განა „ნოვოე ვრემია“ ჩვენ წინააღმდეგ უნდა იყოსო? ჭეშმარიტად ამ რუსულ შავრაზმულ საქმეში „ნოვოე ვრემიაც“ ეხლანდელ მოსკოვთან უნდა იყვეს, მაგრამ სწორედ ის არის დამაფიქრებელი, რომ საქართველოში დღეს ისეთი წრეს გადასული ველურობა ხდება, რომ რუს კაციჭამია შავრაზმელებისათვისაც კი სასირცხოა მასთან დაკავშირება და პასუხისმგებლობის განაწილება. იმდენად დიდია საქართველოს უბედურება და იმდენათ აშკარა მტაცებლური და საზიზღარია რუსეთის პოლიტიკა დღეს საქართველოში, რომ მისგან პირს იბრუნებენ და უარს ამბობენ თვით მონარხისტები, საქართველოს შემჭმელი მონარხისტები. ეს ყველაზე უფრო დიდი დამარცხებაა. კომუნისტური რუსეთისა. ეს მისი ფსკერზე დასვლაა და სავსებით გაკოტრებაა. ეს მისი ნაციონალური პოლიტიკის ძირიანად დალპობა და გახრწნაა... იმავე სტეკლოვის ცნობით 4 ოქტომბრის „კოტიდიენში“ ყოფილა რენოდელის ვრცელი წერილი საქართველოზე, რომელშიდაც მოთხრობილი ყოფილა საქართველოს უკანასკნელი წლების თავგადასავალი და გაშუქებული რუსეთ-საქართველოს დამოკიდებულების საკითხი. რენოდელი მოითხოვს თურმე საქართველოს აღდგენას რუსეთის ცნობასთან ერთად. ვინ იცის რა ეპიტეტებით არ ამკობენ რენოდელს რუსეთში და უმთავრესად იმისთვის, რომ ის საქართველოს ერთგული დამცველია. რუსული პრესიდან ვიცი და იქნებ მართალიც იყოს, რომ მას განუცხადებია თითქო: „უმალ ხელს მოვიჭრი, ვინემ მაკდონალდივით საქართველოს ღალატს მოვაწერდე ხელსო“. დიდია ასეთი დაპირება. ეს იმედია, მორალური იმედი მაინც დღევანდელი სასოწარკვეთის და იჭვების ხანაში... ჩემი მადლობა რენოდელს, საქართველოს მეგობარ რენოდელს!.. ჩვენთვის მაინც სულ სხვაა ფრანგი, იგი უფრო ახლოა საქართველოსთან, ქართულ ხასიათთან, ქართულ ტემპერამენტთან. ჩვენი გრძნობა მუდამ აღტაცებულია და აფეთქებული, ისე როგორც ფრანგების. ბევრი რამ გვაერთებს ჩვენ მათთან, ბევრ რამეში ვგევართ ორივე ერი ერთმანეთს... ფრანგი უფრო გაიგებს დღეს ჩვენს მწუხარებას, ის უფრო გვიგრძნობს ჩვენ და მან უფრო იცის თუ რა მოუხდება და ოდნავ მაინც დაააამებს დაჭრილ და დაკოდილ გულს... ყველაფერი ეს კი დიდი მორალური სიმაგრეა ქართველი ხალხისთვის.

ქემალი მოსულა ყარსში და არტაანში. ის თურმე აღმოსავლეთის პროვინციებს ათვალიერებს (ვაი, ვაი, ვაი! რა დროს მოვესწარით ამ XX საუკუნეში, როგორ დაიმსხვრა ჩვენი იმედები და როგორ გამოგვჭრა ყელი რუსეთმა!.. ჰოი უბედურო, უსახლვარო აყრილო და ყველასაგან გაცემულო სომხეთო! ჰოი, ჩემო გულის საუნჯევ, ჩემო საყვარელო ძველო საქართველოვ! მორღვეულო ლოდებო, შერყვნილო ძეგლებო ჩემი წარსული დიდებისა, სად ხარ ახლა და ვისი ბილწი ხელები ადვია შენ მშვენიერ ჩუქურთმებს. ჩემო არტაანო, შავშეთო, ოლთისო, ისპირ-თორთომო, ჭანეთო, დაღუპულო და ცრემლებისაგან ამომწვარო ძველო საქართველოვ, როგორ, როგორ უნდა ითქვამდეს სულს და სცოცხლობდეს უშენოთ შენი შექმნილი და შენით აღზრდილი ერი, შენ აკვანში ნანანინევი და დარწეული, შენი კალთებით სამშობლოზე შეყვარებული და სამშობლოსათვის უკვე განწირული ქართველი ხალხი?!.. ვაი, ვაი, ვაი! ვინ დადის ეხლა ჩვენს სახლკარში და ვინ გვიფურთხებს ათასი წლების ეროვნულ საკურთხეველს!.. ჩვენი და სომხის მიწაწყალი, გაცემული, გაყიდული და რუსეთისაგან ოსმალეთისათვის სამეგობროთ მიჩუქებული მიწაწყალი!.. ბოლმავ, ჩაწევი გულში, წყევლავ არ მოაკლო რისხვა გამყიდველს და მოვკვდები თუ ცოცხალი ვიქნები დარჩი შენ ბოლმავ, დარჩი ნაღველო, რადგან უნაღვლო ქართული გული არ იქნება მანამ, სანამ ის არ მივა თავის ჭერს ქვეშ და ეხლა ოსმალეთის ტყვეობაში მყოფ დედას არ გამოიხსნის... დაიხსომე, დაიხსომე გულო ეს და არასოდეს, არასოდეს არ შეურიგდე, რომ შენ თითქო შეგიძლია სიცოცხლე ძველი მესხეთის საქართველოსთვის დაუბრუნებლათ...



### 19 ოქტომბერი

მოსკოვიდან შემოგვითვალეს: „ნიკო საქართველოში წაიყვანეს პროცესზე. წაყვანილია აგრეთვე ბელთაძე და სამიც სხვა გადასახლებულებიდანო“. ვფიქრობთ ერთი მათგანი ანანია უნდა იყვეს. შეიძლება აპალონიც არის. მე კი საწყალ გენოს აქ მოველოდი. მაშ ასე, პროცესი იქნება, ჯერ ხალხი დასთობით დაკლეს, უმთავრესი მომქმედი პირები, რომელნიც მძევლებათ ყავდენ, მოიშორეს და ეხლა მასკარადს აწყობენ, რომ თავი იმართლონ, თუ კი სჭირდება ასეთ ხელისუფლებას რაიმე თავის მართლება. ნიკო გაიარს კიდევ იმ საშინელებაში, რომელზედაც აქ გვიამბობდა ახალმოსული. და ვინ იცის, იქნებ ვერც გადაიტანოს ყველაფერი ეს... თუმც გვითვლიან, რომ თითქო მისი სიცოცხლე უზრუნველყოფილიაო. ოდნავ ნორმალური პირობები რომ იყვეს, განა სასიხარულო არ არის ასეთი პროცესი? აქ დაისმება და ნათლად კითხვა და მტერი ერთხელ კიდევ გაშიშვლდებოდა. მაგრამ ეხლანდელ პირობებში ის მხოლოდ მასკარადი იქნება, მტერი იმისთვის აწყობს მას, რომ თავისი მრუდე და ყალბი პოზიციები გაიმაგროს... ამაო ცდაა. ისტორიას ვერავინ გადაახტება. ვერც მოსკოვი შესძლებს თავის ფუყე საფუძვლების გამაგრებას. რამდენი არ უნდა არწმუნოს მან თავისი თავი და სხვები მაინც შეუძლებელია, რომ შეირჩინოს დაპყრობილი ერები და თვით დანგრეულმა და საკოლონიოთ გამხდარმა მეტროპოლიობა გასწიოს და კოლონიებს მოუაროს... ეხლანდელი საბჭოური იმპერია ბედისგან განწირულია. მას ეპოზოდიური გამარჯვებები ვერ მიანიჭებს ძირითად გამარჯვებას. ვაი რომ ჩვენ წაგვაკლა, თორემ მისი ბედი ხომ მაინც გამორკვეულია, ასე მწამს მე, ყველაფერი დროის საკითხია. დღეს იქნება, თუ ხვალ, მაგრამ მაინც იქნება, აქეთკენ მივყევართ ცხოვრებას. ყველა მტრებმაც რომ შესცვალონ სურვილი და შეიყვარონ ეხლანდელი რუსეთი, თვით ასეთი სიყვარულიც მას ვერას შემატებს, ვერ გააცოცხლებს, ის განწირულია...

„დეილი ჰერალიში“ დაბეჭდილია ინტერნაციონალის მანიფესტი საქართველოში მომხდარ ამბების შესახებ. რეზოლუცია შედგენილია მოკლეთ და სხარტლათ. საქართველო შედარებულია პოლონეთთან, როდესაც ის სამათ იყო დახლეჩილი და დაპყრობილი. „როგორც პირველი ინტერნაციონალის მოვალეობას შეადგენდა პოლონეთის დაცვაო – ისე ეხლა სოციალისტური და მუშათა ინტერნაციონალის წმინდა მოვალეობაა დაიცოს საქართველოო“. „აღშფოთებით და ზიზღით მოვისმინეთ რუსული დესპოტიის მიერ ჩადენილ მხეცობაზეო“. რეზოლუციაში მხოლოდ ერთი ადგილია ჩემთვის გაუგებარი, სახელდობრ, სადაც ლოზუნგია წამოყენებული, რომ ყველა ქვეყნის მუშებმა მოითხოვონ საქართველოდან რუსეთის ჯარების გაყვანა და შემდეგ კი თვითგამორკვევის პრინციპის თანახმათ მოხდეს თავისუფალი რეფერენდუმიო. ასეთ მოთხოვნილებას ვაყენებდით ჩვენ მუდამ მოსკოვთან ბრძოლაში და დღესაც ამ მოთხოვნილებიდან არ დავიხევთ უკან. მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ ქართველი ხალხის თვითგამორკვევის საქმე დღესაც არაა გათავებული და მას კიდევ ესაჭიროება რაიმე გზით თვითგამორკვევა? საქართველო ყოველმხრივათ გამოერკვა, მაგრამ მისი გამორკვეული ნებისყოფა გადალახა და დაწიხლა რუსეთმა. საქართველო არ არის რუსეთსა და რომელიმე სხვა სახელმწიფოს შორის სადაო ტერიტორია. მადლობა ღმერთს ჩვენს შორის იალბუზია, ქართველი ხალხი არ მოითხოვს რუსეთზე მოშორებას და სამაგიეროთ ვისმეზე მიკვრას, არა, მას სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობა უნდა, ის განსაკუთრებული ერია, მისი ნაციონალური თვისებები საჩინოთ განირჩევიან სხვა მეზობელ ერთაგან. მას აქვს თავისი ენა, ლიტერატურა, თავისი ისტორია, თავისი ტერიტორია. რუსეთთან საქართველოს გასაყოფი არაფერი აქვს. თუ დღეს ვაყენებდით რეფერენდუმს და პლებისციტს, ეს მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ გაგვეშიშვლებია ცბიერი მოსკოვი, რომ ამ ერთხელაც დაგვემტკიცებია მთელი ქვეყნისათვის ქართველი ერის სურვილი და ნებისყოფა. მაგრამ როდესაც კითხვა ისმება საერთაშორისო მასშტაბით, განა საქართველოს ესაჭიროება კიდევ რეფერენდუმები? მას მხოლოდ რუსეთისაგან თავდახსნა უნდა, რუსეთ-საქართველოს დამოკიდებულება და მთელი დავა მხოლოდ და მხოლოდ საერთაშორისოა, აქ ორიენტაციებზე არაა ლაპარაკი, აქ ერს თავისუფლება უნდა, პოლიტიკური თავისუფლება. მოგვშორდეს რუსეთი, წაიყვანოს მისი ჯარები, საქართველო აღიდგენს მის სუვერენობას და შემდეგ იქნებ თვით ქართველმა ხალხმა ინებოს, რომ ეკონომიურათ უფრო მჭიდროთ რუსეთთან ითანამშრომლოს, რომ ეკონომიკური ორიენტაცია“ იქნებ მასზე აიღოს, მაგრამ ეს არ იქნება პოლიტიკური მონობა, მაშინ საქართველო თავისი ბატონ-ბატონი სუვერენი ერი იქნება...

დღიურები მოგვაწოდა
ისტორიკოსმა
გრიგოლ ზარქუამ

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ადამიანის, თავხედური მაკვირვებს სული!

ადამიანის, თავხედური მაკვირვებს
სული
და ბოროტება ცხოველებში
უკიდურესი,
პოლიტიკაში, გეთანხმებით,
გახლავართ ნული,
არ მეგულება რა ვქნა დარგი
უბინძურესი.
ეს ის საქმეა, როცა კაცი
ხმალს იღებს ხელში,
რათა დაიცვას საკუთარი თავის
ღირსება,
სკიპტრის გულისთვის გამოუსვამს
ძმას და შვილს ყელში,
რომ ერთხელ კიდევ დაამტკიცოს
კაცის თვისება.
თავდასაცავად იმიზეზებს კაცი
მზადყოფნას,
ძაღლი ჩააკვდეს ატომური ბომბის
მომგონებს,
ემსახურება რადგან ღენთი სხვების
დაპყრობას,
ამის გამოა, დედამიწა დღემდე რომ
ჰგოდებს.
ღმერთო შემინდე, ადამიანს ცილს
კი არ ვწამებ,
მე ვაღიარებ ჩვენი მოდგმის
უწმინდურებას,



რა ეშველება კაცის ხელში,
კაცს განაწამებს,
და კაცის მიერ, თავსმოხვეულ
უბედურებას?!

**ნიკოლოზ იოსებიძე**

## როდემდე ვირტყათ მუშტები, თავში და გულის ფიცარზე

გამაგებინეთ რა ხდება
ჩვენს ღვთითკურთხეულ მიწაზე!
როდემდე ვირტყათ მუშტები
თავში და გულის ფიცარზე?!
ჯერ, ვითომ რუსი გვიცავდა,
გვმოძღვრავდა უფროს ძმასავით,
როცა დასჭირდათ, განგვიდნენ,
გაგვყიდეს ჭრელი თხასავით.
დღეს ყველა ჭკუას გვარიგებს,
ჭკვიანი, გიჟი, აბდალი,
ნეტავ, სხვა დროს თუ ყოფილა,
ასეთი აჯაფსანდალი.
გთხოვთ მთავრობას და
პრეზიდენტს,
არ დაუჯეროთ არავის,
ვენახი ამოძირკვეთო! –
უბრძანებია ვალავის.
გოდრებით შემოზიდეთო
იტალიური ყურძენი!
რა დაგიმალოთ, ჩვენს „მრჩეველს“,
ბევრი „კახური“ ვუძღვენი.
ყველა ასეთი მრჩეველი,
ჩვენი მტერია აშკარა,
ნეტავ შინაურს გავუძლოთ
მტერს, თვალები რომ
დაგვთხარა.
ბუნების დაცვის გამგებლებს
ვაფიცებ ყველა საფიცარს,
თქვან, თუ სიმდიდრე გაზიდეს,
დეპარტამენტი რას იცავს?!
ეროვნებაზე ჩვენ თვითონ
უარს ვაცხადებთ საჯაროდ,
არ გეთანხმებით, პირში რომ
ცხელი შამფური ჩამჩაროთ.
დღეს რომ ქართველი
პასპორტში
ეროვნულობას წაგვიშლის,
ხვალ, ვიღაც, არაქართველი
ქართულ ლაპარაკს დაგვიშლის!
გვეტყვის: „შენ მოქალაქე ხარ?!
არც მე ვარ შენზე ნაკლები
და ქვეყნის მართვას დაიწყებს
ჩვენი სამშობლოს ამკლები.
ამიტომ, ეროვნულობის
უგულველყოფა არ გვარგებს,
ვინ, რა მოიგო, მითხარით,
ვინც ეროვნება დაკარგეს?!

**ნიკოლოზ იოსებიძე**

## გუშველოთ, გადავარჩინოთ!

კვნესა ისმის და გოდება
ქარმაც იმძლავრა ტიალმა
როგორ გონება დაგვიხშო
ქვეყნის უკულმა ტრიალმა.
ფიქრით ტყეს შემოვუარე
ხეთ გაემართათ „ყრილობა“
მთავარ საკითხად გაჰქონდათ
ხელისუფალთა „გმირობა“.
ჩვენზედ აღმართეთ მახვილი
ჩვენგნით გაქცეულ ბინადართ?
სად როგორ სკამზე მოთავსდით
ხმა მოგვაწვდინეთ ვინა ხართ!
თუ არა, ჩვენც გიპასუხებთ:
ტყის კანონები მკაცრია
ამ კანონს ვერავინ შესცვლის
ვერც ღმერთი და ვერც კაცია.
ჩვენს გულ-მკერდიდან წამოსულს
დავაშრობთ წმინდა წყაროთა
მარტო ეს ერთი არ კმარა
კიდევ ვამკაცრებთ კანონსა.
საკუთარ აფთიაქიდან
არ გავცეთ გრამი ჟანგბადი
მერე, ჩვენც დავაღიღინოთ
ჩვენა ვართ ჩვენი ნაბადი
ფრინველთ გოდება აღმოხდათ
ქედანი ცრემლში იწოდა
მე ხმას არ ვაძლევ მაგ კანონს
კაცობრიობა ისპობა.
ერთჯერაც დავთმოთ იქნება
შეაპარტყუნონ ყურები
ერთ-ორ შეკითხვას დაუსვამ
არ დაგვრჩნენ უმადურები.
როდემდის უნდა გაათბოთ
ქალაქი ჩვენი შეშითა



როდემდის უნდა გვაცხოვროთ
მოთმინებითა შენითა.
მართლაც რო ბოლმა
წაგვლეკავს
დრო მოვა, შეგაფასებთო,
ტყეს ნუ მოგვისპობთ
მტარვალნო,
შეჩერდით შაჰ-აბასებო!

**ნათელა ბუჟიაშვილი**

# სატირისა და იუმორის გვერდი



## ნაწყენი გლეხის სამდურავი მთავრობას

ძილიც წაგვართვეს, სიზმრებიც,
სულაც არ გვინდა ხსენება
რა გასაჭირიც გვადგია
ეს ყველას მოეხსენება.
ზღაპარში მრისხანე მეფე
ობოლ ბიჭს სიზმარს ართმევდა
ეს როგორ შევძლო, რას
ითხოვს?!
ღამეს ტირილში ათევდა.
ყველა სიკეთე ანგრიეს
მუშას წაართვეს ქარხანა.
გლეხს ზურგი შემოგვაქციეს
შემოგვთავაზეს ქვის ხანა.
ეს დღე დაგვიდგა ჩვენაც და
ფიქრებს ვაწვალებ ღამეში
მე მიწას როგორ გადავხნავ
ხის კავით ორი კამეჩით.
საწვავ ტექნიკის საკითხნი
დღესაც ეშმაკის ხელშია,
ფასების აწევ-დაწევა
ამოგვივიდა ყელშია.
აწმყოში წარსულს მივსტირით,
სად გაქრა ხალხის ქონება,
გამდიდრნენ ერთეულები
გამოისწორეს ცხოვრება.
არავინა გვყავს პატრონი
ამ საქმის გამკითხავია
ან ვინ აწესებს ამ ფასებს
დღესაც ეს საკითხავია.
ვინატრებთ აბა რას ვიზამთ
ნეტავ ვცხოვრობდეთ ძველ
დროში,
გლეხს თავის ნაშრომ-ნაჯაფი
იქ რჩება, წყალში, მინდორში.
ჯერ საკუთარი გესინჯათ
რა ვალებს სთხოვდით ევროპას,
ჩვენთან მოსული დოვლათი
მთელს საქართველოს ეყოფა.
ჩვენი ნაშრომი არ ფასობს
მთელს საქართველოს ბაზარზე
მე კარგს ვერაფერს ვერ გეტყვით
როს ვჭვრეტთ ამ სურათს
ამაზრზენს.
ბევრს შეხსენება სჭირდება
ჩვენ შრომა ვარჩიეთ
თქვენგან ნარბევი სამშობლო
სიკვდილს ჩვენ გადავარჩინეთ.
ჩვენი ანაბრით „იყიდეთ“
ეგ ჭრელი დემოკრატია
წაგვართვით დიდი იმედი
სულს ლაფავს დემოგრაფიაც.
გაამათხოვრეთ ქვეყანა
ქალი არ ვარგობს ქალადა,
თქვენი ტყუილით ივსება
სამზარეულო კალათა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კვირის ტელეპროგრამა

## სამშაბათი — 9 ნოემბერი

### I არხი

7.30 ალიონი 9.00 აერობიკა 9.18 ტელემაღაზია 9.30, 23.21 „ვიდეოპატ-რული-02" ?7:- 19.50 მაესტრო 10.00 წმინდა მესა კათოლიკური ეკლესიის მრევლისათვის (პირდ. ტრა. სპორტის სასახლიდან) 12.45, 18.45 სერიალი „დალასი" 13.35 „საფეხბურთო მიმოხილვა" 13.55 დიდების ზღაპარი 14.20 პრესზონა 15.00, 18.00, 20.00, 0.00 მოამბე 15.15 ღია კარის ღამე 15.40 ნავიგატორი 15.55 მხ.ფ. „ფიროსმანი" 17.30 მისი უწმინდესობა რომის პაპის იოანე-პავლე II-ის შეხვედრა საქართველოს მეცნიერებისა და კულტურის წარმომადგენლებთან 19.30 მისი უწმინდესობა რომის პაპის იოანე-პავლე II-ის გაცილების ოფიციალური ცერემონია 20.50 რა ხდება?! 21.45 მოსკოვი-თბილისი 21.45 შეხვედრა 22.00 ვესტნიკი 22.21 ნაციონალური ბალეტი 22.41 რეტროპერსპექტივა 23.36 2X2-4 0.15 კომუნიკატორი 0.47 მხ.ფ. „ვოროშილოვის მსროლელი".

### II არხი

19.00, 20.30 ინფორმაცია 19.15 მულტფილმები 20.00 შემეცნებითი პროგრამა 21.10 ანტონელა 21.55 ჯაზ-ჰიტი 22.15 მხ.ფ. „მაკენას ოქრო" 0.15 ჰიტ-პარადი

### რუსთავი 2

7.00, 10.20 მუსიკა 8.00, 9.25 ტული 8.05, 8.30, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 22.50, 1.45 კურიერი 8.15 შავი მეკობრეები 9.30, 21.50 სასწრაფო 10.25, 18.20 სიყვარულის ოცნებები 10.50 ალფი 11.20, 20.05 „გვადალუპე" 12.15, 15.15 მხ.ფ. 14.10 „ნანო" 16.30 Перекресток 17.10 „ტაგერტი" 18.50 აკუნა მატატა 19.25 „დაკარგული ქალაქი" 23.50 „ანგარიშსწორება" 1.55 კლასიკა

### კავკასია

15.00, 17.00, 18.30, 20.30, 0.00 დღეს 15.15 მხ.ფ. 17.15 მულტსერიალი 17.50 სპორტი, სპორტი, სპორტი 19.00 სპექტრი, 20.20 21.45 მუსიკა 21.00 ვარსკვლავები 22.00 მხ.ფ. „გზა არლინგტონისაკენ" 0.15 მუს. კალ.

### ევრიკა

14.15 მხ.ფ. „ზამთრის ალუბალი"-3 18.00 სტუდია-25 18.05 ბიზნეს-კურიერი 19.00 დოკ.ფ. „ინგლისის ცხოვრებიდან" 20.00 ზღაპრის ტელედარბაზი 20.30 ერალაში 21.00 მუსიკა 22.25 მხ.ფ. „ბანკოკი ჰილტონი".

### ისტ

8.00 ტონიკი 10.30 მხ.ფ. „სვლა დედოფლით" 12.15 კლიპ-მიქსი 18.00 დოკ.ფ. 19.00 მხ.ფ. „ვინ უნდა ლაპარაკობდეს" 20.35 მხ.თ. „ჭკვიანი" 22.05 მხ.ფ. „ორი დღე ველზე" 2.00 ნონ-სტოპი

### საქართველოს ხმა

10.00, 17.30, 20.30, 23.00, 1.15 ექო 10.15, 17.45 მულტფილმი 11.00, 18.00 ქართ.მხ.ფ. 12.30 სპორტპროგრამა 13.00, 15.15, 21.00, 1.30 მხ.ფ. 15.30 მუს.კოლაჟი 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე

### იბერია

9.00, 19.00, 22.00, 0.00 ახალი ამბები 9.10, 20.50 ბურთი და მოედანი 9.25, 19.20 „ქალაქი" 9.55 ძველი ჰანგები 10.00, 21.10 „ყველა ჩემი შვილი" 10.45, 2.25 „ოვაცია" 10.55, 19.45 სტუდია დიალოგი 11.40 ნახ.ფ. 12.05 მხ.ფ. „პირდაპირი და აშკარა მუქარა" 14.15, 15.25, 17.30, 20.30 მუს.ტალღა 14.20 „მარადიული ძახილი" 15.30 მხ.ფ. „მიმტევებელი" 18.30 დოკ.ფ. 20.35 გვარიშვილობა 20.45 სახეები 21.05, 0.10 ნოსტალგია 22.30 მხ.ფ. „დარვინის შეცდომა" 0.15 მხ.ფ. „ძმა - მზე, და - მთვარე"

## ოთხშაბათი — 10 ნოემბერი

### I არხი

7.30 ალიონი 9.00 აერობიკა 9.18 ტელემაღაზია 9.50, 23.20 „ვიდეოპატრული-02" 9.45 მხ.ფ. "რეიდი ენტებეზე" 11.48, 19.50 მაესტრო 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 0.00 მოამბე 12.15, 18.45 „დალასი" 13.05 მოსკოვი-თბილისი 13.25 2X2-4 13.45 დოკ.ფ. „ასიზი" 13.35 შოკოლადის მიკროფონი 15.15 შეხვედრა 15.30 რეტროპერსპექტივა 16.10 უსაფრთხოება 16.25 მხ.ფ. „მიხი მსახურის და" 18.15 50X50 19.35 ბასტი-ბუბუ 20.50 რა ხდება?! 21.35 ვიზიტი 22.00 ვესტნიკი 22.25 ტელე-სინე-ვიდეო 23.00 საქმე 23.35 გრიფით საიდუმლო 0.15 კომუნიკატორი 0.50 მხ.ფ. „კასანდრას უღელტეხილი"

### II არხი

19.00, 20.30 ინფორმაცია 19.15 მულტფილმები 20.00 საოპერო და საბალეტო ხელოვნების ოსტატები 21.10 „ანტონელა" 22.00 ოპტიმისტები 22.20 პოდიუმი 22.25 მხ.ფ. „ჭრიჭინა" 23.55 ჰიტ-პარადი

### რუსთავი 2

77-- 10.20 მუსიკა 8.00, 9.25 „ტული" 8.05. 8.30, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 22.50, 1.50 კურიერი 8.15 „ფიფქია" 9.30 „სასწრაფო" 10.25, 18.20 „სიყვარულის ოცნებები" 10.50, 19.25 „დაკარგული ქალაქი" 11.20, 20.05 „გვადალუპე" 12.15, 15.15 მხ.ფ. 14.10 „ნანო" 16.30 დოკ.ფ. 17.10 „ტაგერტი" 18.50 აკუნა მატატა 21.50 მხ.ფ. „ნიკიტა" 23.50 „აისიდან დაისამდე" 2.00 კლასიკა

### კავკასია

15.00, 17.00, 18.30, 20.30, 0.00 დღეს 15.15 მხ.ფ. „ასტეროიდი" 17.15 მულტსერიალი 17.50 სპორტი, სპორტი, სპორტი 19.00 სპექტრი 20.20, 21.4: მუსიკა 21.00 ვარსკვლავები 22.00 მხ.ფ. „ლეონი" 0.15 მუს.კალ.

### ევრიკა

14.15 მხ.ფ. „ბანკოკი ჰილტონი" 18.00 სტუდია-25 21.00 დოკ.ფ. 22.25 მხ.ფ. „ბანკოკი ჰილტონი".

### I სტ

8.00 ტონიკი 10.30 მხ.ფ. „გზავნილი ბოთლში" 12.25 კლიპ-მიქსი 18.00 მულტფილმები 19.00 მხ.ფ. „ვინ უნდა ლაპარაკობდეს" 20.20 მხ.ფ. „სიკვდილის ნიღაბი" 21.45 მხ.ფ. „უკუსვლა" 23.55 მხ.ფ. „აკრძალული სიყვარული" 0.30 ნონ-სტოპი

### საქართველოს ხმა

10.00, 17.30, 2.30, 22.00, 0.20 ექო 10.15, 16.45 მულტფილმი 11.00, 18.00 ქართ.მხ.ფ. 12.30 სპორტ.პროგრამა 13.15, 15.15, 21.00, 23.35, 1.20 მხ.ფ. 14.45 დოკ.ფ. 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე.

### იბერია

9.00, 19.00. 22.00, 0.10 ახალი ამბები 9.15, 20.50 ბურთი და მოედანი 9.25, 19.20 „ქალაქი" 0;55 ძველი ჰანგები 10.00, 21.10 „ყველა ჩემი შვილი" 10.45, 2.10 „ოვაცია" 10.55, 19.45 „სტუდია დიალოგი" 11;35 გვარიშვილობა 11.45 სახეები 11;50 მხ.ფ. „ძმა - მზე, და - მთვარე" 14.00, 15.55, 17.30 მუს.ტალღა 14.05, 18.25 დოკ.ფ. 14.35 „მარადიული ძახილი" 16.00 მხ.ფ. „მისისიპის ავი ანგელოზი" 20.30 ფარული კამერა 21.05, 0.20 ნოსტალგია 22.30 მხ.ფ. „ქორწინება იტალიურად" 0.25 მხ.ფ. „სამოთხის გზა"

## ხუთშაბათი — 11 ნოემბერი

### I არხი

7.30 ალიონი 9.00 აერობიკა 9.18 ტელემაღაზია 9.30, 23.20 „ვიდეოპატრული-02" 9.40 მხ.ფ. „კასანდრას უღელტეხილი" 11.48, 19.50 მაესტრო 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 0.00 მოამბე 12.15, 18.45 „დალასი" 13.05 საქმე 13.25 ტელე-სინე-ვიდეო 13.55 გრიფით საიდუმლო 14.15, 15.15 მხ.ფ. „ნიქსონი" 17.43 მესაკუთრე 18.40 რამპა 19.35 ბასტი-ბუბუ 20.50 რა ხდება?! 21.35 კავკასიური სამკუთხედი 22.00 ვესტნიკი 22.25 მრავალსახეობა 23.00 ეკოდაიჯესტი 23.35 ტვ-ტაქსი 23.45 ნამდვილი ამბები 0.15 კომუნიკატორი 1.02 მხ.ფ. „სახიფათო სიცოცხლის წელი"

### II არხი

19.00, 20.30 ინფორმაცია 19.15 მულტფილმები 20.00 დიზაინი 21.10 „ანტონელა" 22.00 შვიდეული 22.30 მხ.ფ. „გლორია" 0.10 ჰიტ-პარადი

### რუსთავი 2

7.00, 10.20 მუსიკა 8.00, 9.25 „ტული" 8.05, 8.30, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 22.50, 2.05 კურიერი 8.15 „ფიფქია" 9.30, 21.50 მხ.ფ. „ნიკიტა" 10.25, 18.20 „სიყვარულის ოცნებები" 10.50, 19.25 „დაკარგული ქალაქი" 11.20, 20.05 „გვადალუპე" 12.15, 15.15 მხ.ფ. 14.10 „ნანო" 16.30 დოკ.ფ. 17.10 „ტაგერტი" 18.50 აკუნა მატატა 23.50 მხ.ფ. „ეპიდემია" 2.15 კლასიკა

### კავკასია

15.00, 17.00, 18.30, 20.30, 0.00 დღეს 15.15 მხ.ფ. „ჯონი კბილისმწმენდავი" 17.15 მულტსერიალი 17.50 სპორტი, სპორტი, სპორტი 19.00 სპექტრი 20.20, 21.45 მუსიკა 21.00 ვარსკვლავები 22.00 მხ.ფ. „ოკეანის ფსკერზე" 0.15 მუს.კალ.

### ევრიკა

14.15 მხ.ფ. „ბანკოკი ჰილტონი" 18.00 სტუდია-25 20.30 საუბრები მწვანე ბუხართან 21.35 „პასი" 22.25 მხ.ფ. „რეტროაქტივი"

### Iსტ

8.00 ტონიკი 10.30 მხ.ფ. „უკუსვლა" 12.25 კლიპ-მიქსი 18.00 დოკ.ფ. 19.00 მხ.ფ. „დიდლებთან ერთად" 20.30 მხ.ფ. „ღამის სიცხე" 22.10 მხ.ფ. „ნამდვილი მაკოი" 23.55 მხ.ფ. „კვალის დაფარვით" 1.25 ნონ-სტოპი

### საქართველოს ხმა

10.00. 17.30, 20.30, 23.00, 1.00 ექო 10.15, 17.15 მულტფილმი 11.00, 18.00 ქართ. მხ.ფ. 12.30 სპორტ.პროგრამა 13.05, 15.45, 21.00, 23.30, 1.15 მხ.ფ. 15.00 მუსიკა 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე

### იბერია

9.00, 19.00, 22.00, 1.30 ახალი ამბები 9.10, 21.00 ბურთი და მოედანი 9.25, 19.20 „ქალაქი" 9.50, 20.30 ძველი ჰანგები 9.55, 21.10 „ყველა ჩემი შვილი" 10.40, 3.00 „ოვაცია" 10.50, 19.45 „სტუდია დიალოგი" 11.35 ფარული კამერა 11.55 მხ.ფ. „სამოთხის გზა" 13.40, 15.00, 17.50 მუს.ტალღა 13.45 „მარადიული ძახილი" 15.05 მხ.ფ. „დამოუკიდებლობის დღე" 17.25 ნახ.ფ. 18.35 დოკ.ფ. 22.30 მხ.ფ. „ჯონ ფ. კენედი" 1.40 ნოსტალგია 1.45 მხ.ფ. „ბლანში და მარი"

## პარასკევი — 12 ნოემბერი

### I არხი

7.30 ალიონი 9.00 აერობიკა 9.18 ტელემაღაზია 9.30, 23.23 ვიდეოპატრული-02 9.45 მხ.ფ. „სახიფათო სიცოცხლის წელი" 11.35, 19.50 მაესტრო 11.43 ტვ-ტაქსი 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 0.00 მოამბე 12.15, 18.4: „დალასი" 13.05 კავკასიური სამკუთხედი 13.25 მრავალსახეობა 13.55 ეკოდაიჯესტი 14.15 ფორტუნა 15.15 წონასწორობა 15.30 მხ.ფ. „სამხრეთის ღახუთულ ღამეს" 18.15 50X50 19.35 ბასტი-ბუბუ 20.50 რა ხდება?! 21.35 ბელ-კანტო 22.00 ვესტნიკი 22.20 „ეპოქა" 23.38 „დვრიტა-ტვ" 0.15 საღამო მშვიდობისა 1.02 მხ.ფ. „სარკეს ორი სახე აქვს"

### II არხი

19.00, 20.30 ინფორმაცია 19.15 მულტფილმები 20.00 რაგბის მოყვარულთათვის 21.10 „ანტონელა" 22.00 აფხაზეთის ტელევიზია 22.25 „ანტრე" 23.00 მხ.ფ. „მაგარი პოლიციელი" 0.25 ჰიტ.პარადი

### რუსთავი 2

7.00, 10.20 მუსიკა 8.00, 9.25 „ტული" 8.05, 8.30, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 22.50, 3.00 კურიერი 8.15 „ფიფქია" 9.30 მხ.ფ. „ნიკიტა" 10.25, 18.20 „სიყვარულის ოცნებები" 10.50, 19.25 „დაკარგული ქალაქი" 11.20, 20.05 „გვადალუპე" 12.15, 15.15 მხ.ფ. 14.10 „ნანო" 16.30 დოკ.ფ. 17.10 „ტაგერტი" 18.50 აკუნა მატატა 21.50 „საიდუმლო მასალები" 23.50 მხ.ფ. „შეშლილი ქალაქი" 2.00 „სიმფსონები" 2.30 „წითელი ფეხსაცმლის დღიურები" 3.10 კლასიკა

### კავკასია

15.00, 17.00, 18.30, 20.30, 0.00 დღეს 15.15 მხ.ფ. „უკანასკნელი გაცილება" 17.15 მულტსერიალი 17.50 სპორტი, სპორტი, სპორტი 19.00 სპექტრი 20.20, 21.45 მუსიკა 21.00 ვარსკვლავები 22.00 მხ.ფ. „მტერი" 23.30 პროგრამა „რატომ?" 0.15 მუს.კალ.

### ევრიკა

14.15 მხ.ფ. „რეტროაქტივი" 18.00, 22.00 „სტუდია-25" 18.15 სერიალი 19.00 „ხვალ..." 20.30 ზღაპრის ტელედარბაზი 21.00 კრიმინალი, პოლიცია, საზოგადოება 21.45 მუსიკა 22.30 მხ.ფ. „მთვრალი ანგელოზი"

### Iსტ

8.00 ტონიკი 10.30 მხ.ფ. „ნამდვილი მაკოი" 12.15 კლიპ-მიქსი 18.00 მულტფილმები 19.00 მხ.ფ. „ზაზუნას დღე" 20.40 მხ.ფ. „ზვავი" 22.10 მხ.ფ. „ფრენსისი" 0.30 მხ.ფ. „შიდა გამოძიება" 22.25 ნონ-სტოპი

### საქართველოს ხმა

10.00, 17.30, 20.30, 23.00, 1.15 ექო 10.15, 17.00 მულტფილმი 11.00, 18.00 ქართ. მხ.ფ. 12.30 სპორტ. პროგრამა 13.30, 15.30, 21.00, 23.30, 1.30 მხ.ფ. 15.00 დოკ.ფ. 19.3- მსოფლიოს სტადიონებზე

### იბერია

9.00, 19.00, 22.00, 0.15 ახალი ამბები 9.19, 20.50 ბურთი და მოედანი 9.25, 19.20 „ქალაქი" 9.50, 11.25 ძველი ჰანგები 9.55, 21.10 „ყველა ჩემი შვილი" 10.40, 1.50 „ოვაცია" 10.45, 19.45 სტუდია დიალოგი 11.55 მხ.ფ. „ჯონ ფ. კენედი" 14.55, 16.10, 17.30 მუს.ტალღა 15.00 „მარადიული ძახილი" 16.15 მულტფილმი 18.25 დოკ.ფ. 20.30 ცხოველთა სამყარო 20.40 სახეები 21.05, 0.25 ნოსტალგია 22.30 მხ.ფ. „ოკეანის ფსკერზე" 0.30 მხ.ფ. „მოკლე ფილმი მკვლელობაზე"

## შაბათი — 13 ნოემბერი

### I არხი

10.00 „დილის პაემანი" 11.30 „თბილისის დროით" 11.50, 15.50, 17750 „უთუოდ" 12.00 მხ.ფ. „სიყვარული, ღალატი, ქურდობა" 13.31 „კლუბი-700" 14.00 „კვალი" 14.20 მუსიკა ეთერში 14.40 გზა მშვენიერებისაკენ 15.00 ვესტნიკი 15.15 რეიტინგი 15.30 ახალი ქართ. პროექტი 15.55 დოკ. პროგრამა 16.20 „საქართველო და გარე სამყარო" 16.35 „ეძიე ქალი" 16.55 რეგიონები 17.15 აბდა-უბდა 17.30 ირაო 18.00, 20.00, 0.00 მოამბე 18.15 საოჯახო ლოტო 18.41 ინტეგრალი 19.20 სტადიონი 19.40 ბასტი-ბუბუ 20.45 მაესტრო 21.45 მჯერა! 22.20 „ილუზიონი" მხ.ფ. „ცოფიანი ძაღლი და გლორია" 0.15 ტერმინალი-72 0.37 მხ.ფ. „მას ერქვა ნიკიტა".

### II არხი

9.00 „დილა" 19.00, 20.30 ინფორმაცია 19.15 მულტფილმები 19.5- ოაზისი 20.05 ავტოშოუ 21.00 ვარსკვლავები გვამცნობენ... 21.15 მხ.ფ. „ლომებთან შერკინება" 0.10 ჰიტ-პარადი

### რუსთავი 2

8.00, 11.00 მუსიკა 9.00, 18.00, 21.00, 1.20 კურიერი 9.10 მულტსერიალი 9.40 საბ.ფ. 11.15 „სიმფსონები" 11.45, 18.15 ლუისი და კლარკი 12.30, 20.05 „სიყვარულის ერთგულება" 13.20 მხ.ფ. 19.10 ჩემპიონთა ლიგის საფეხბურთო მიმოხილვა 21.50 ფსიქო – მხ.ფ. „ჭამა, სმა, კაცი, ქალი" 1.30 „წითელი ფეხსაცმლის დღიურები" 2.00 ღამის ჯაზი.

### კავკასია

12.00 მულტსერიალი 12.50 მხ.ფ. „ძერკეტი კაკალი-2" 15.00 მხ.ფ. „ბეტმენი და რობინი" 17.00, 20.30, 0.00 დღეს 17.30 რელიგიური პროგრამა 18.00 წყლის სიმფონია 18.10 სპორტი, სპორტი, სპორტი 19.00 სპექტრი 20.20, 21.45 მუსიკა 21.00 ვარსკვლავები 22.00 მხ.ფ. „გენერლის ქალიშვილი" 0.15 ჯაზ-პარნასი

### ევრიკა

12.00 მხ.ფ. „უსიამოვნებები მაიმუნებთან" 13.35, 20.45, 23.00 მუსიკა 13.40 მხ.ფ. „მაშველები" 15.00 თქვენი ადვოკატი 16.00 მხ.ფ. „იურული პერიოდის პარკი-2" „დაკარგული სამყარო" 18.00 სცენის ოსტატები 18.30 ზღაპრის ტელედარბაზი 19.00 მხ.ფ. „რკინის მაგნოლიები" 20.50 ინდ.მხ.ფ. „სიყვარულის მსხვერპლი" 23.05 მხ.ფ. „კინოთეატრი პარადიზო"

### საქართველოს ხმა

8.00 ტონიკი 10.30 მხ.ფ. „ფრენსისი" 12.50, 18.00 მულტფილმები 14.15 მხ.ფ. „ფრანგული და რუსული სიყვარული" 15.30 კლიპ-მიქსი 19.00 მხ.ფ. „უჩინარის ალსარება" 20.35 მხ.ფ. „ლეგიონი" 22.15 მხ.ფ. „ელისა-ბედი" 0.25 მხ.ფ. „ფსიქო" 2.10 ეროტიკა 2.50 ნონ-სტოპი

### Iსტ

10.00, 17.30, 20.30, 22.45, 0.45 ექო 10.15, 17.00 მულტფილმი 11.00, 18.00 ქართ. მხ.ფ. 12.30 სპორტ. პროგრამა 13.30, 15.30, 21.00, 23.00, 1.45 მხ.ფ. 15.00, 23.45 მუს.კოლაჟი 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე

### იბერია

9.00, 19.00, 22.00, 0.20 ახალი ამბები 9.10, 21.00 ბურთი და მოედანი 9.25 „ქალაქი" 9.50, 20.25 ძველი ჰანგები 9.55 „ყველა ჩემი შვილი" 10.40, 2.10 „ოვაცია" 10.50, 19.45 „სტუდია დიალოგი" 11.30 ცხოველთა სამყარო 11.45 სახეები 11.50 მხ.ფ. „ოკეანის ფსკერზე" 13.35, 15.55, 17.30 მუს.ტალღა 13.40 მხ.ფ. „ტრუფალდინო ბერგამოდან" 16.00 მხ.ფ. „ახალბედა" 18.30 ნახ.ფ. 19.20 დოკ.ფ. 21.10 მოკ.მხ.ფ. 22.30 მხ.ფ. „პატრიოტთა თამაშები" 0.30 ნოსტალგია 0.35 მხ.ფ. ექსტაზი"

## კვირა — 14 ნოემბერი

### I არხი

10.00 დილის პაემანი 10.30 საკვირაო გამოფენა 11.40 ნამდვილი ამბები 11.50, 16.53, 17.50 „უთუოდ" 12.00 მხ.ფ. „ზევსი და როქსანა" 13.30 მჯერა 14.00 გვაქვს უთვალავი ფერითა 14.20 ლიტერატურული გადაცემა 14.40 „ფან-კლუბი" 15.00 ვესტნიკი 15.15 მულტსერიალი 15.38 ბავშვები უპირველეს ყოვლისა 15.48 ახალი ქართული პროექტი 16.08 გლობუსი 16.38 ენერგია 16.58 მსოფლიოს ახალი ამბები 17.10 რეგიონები 17.30 სპა 18.00, 0.00 მოამბე 18.10 ლატარია ყველასათვის 18.30 შოკოლადის მიკროფონი 18.50 ტოტო-ლოტო 19.05 ინტერპანორამა 19.25 ჩვენი მისამართია 20.0- ტაიმ-აუტი 20.52 აზრი 21.02 საკვირაო ზღაპარი 21.12 ფორტუნა 21.55 ფუეტე 22.0- ვესტნიკი 22.40 „დიდების ზღაპარი" 23.05 „ეფემერა" 0.15 ჯემი 0.47 მხ.ფ. „გონება და გრძნობა".

### II არხი

9.00 „დილა" 19.00 „კვირადღე" მულტფლმი, სუპერ-მატჩი, ანტრაქტი, კერპები, კინოფანტაზია, დუ-შაში, ბომონდი, შვიდეული, კინოსეანსი – 1. „ბუნების ძალები"; 2. „მოდური რაზმი". ღამის ქალაქი

### რუსთავი 2

8.00, 11.00 მუსიკა 9.00, 18.00, 0.10 კურიერი 9.10 მულტსერიალი 9.40 ფილმი-ბავშვებს 11.15 „სიმფსონები" 11.45, 18.456 ლუისი და კლარკი 12.30, 20.05 „სიყვარულის ერთგულება" 13.20 მხ.ფ. 18.15 აკუნა მატატა 19.40 სპორტული პროგრამა 21.00 „კვირა" 21.50 მხ.ფ. „არგენტინული" 0.30 კლასიკა

### კავკასია

12.00 ინდ.მხ.ფ. „ბანდა" 14.20 „დემფსი და მეიკფისი" 16.00 „დებიუტი-99" 15.50 დოკ.ფ. 17.30 რელიგიური პროგრამა 18.00 კოსმოსის სიმფონია 18.10 ფეხბურთის ლეგენდები 18.45 მხ.ფ. „როკის უკანასკნელი ბრძოლა" 20.30, 0.00 დღეს 21.00 ვარსკვლავები 21.45 მუსიკა 22.00 მხ.ფ. „შიშის კონცხი" 0.15 ჯაზ-პარნასი

### ევრიკა

11.00, 15.00 „ცისკრის ზარები" 11.03 მულტ.ფ. 11.30 დოკ.ფ. „პეტრიწონი" 12.00, 18.00 ლოცვა 12.03 ქართ. მხ.ფ. „ზღვის ბილიკი" 13.30 მოკ. მხ.ფ. „ბზიანეთი" 13.50 „დათა თუთაშხია" 15.00-18.00 რელიგიის საათები 18.03 დოკ.ფ. 18.25, 22.00 მუსიკა 18.50 მხ.ფ. „ცაბუნია" 19.20 მხ.ფ.„ ჩარი-რამა" 20.30 იქ სადაც სიყვარულია 21.00 თბილისური ოჯახები 21.30 იუმორისტული გადაცემა 22.30 მხ.ფ. „ჯარისკაცის მამა".

### Iსტ

8.00 ტონიკი 10.30 მხ.ფ. „ელისაბედი" 12.40, 18.00 მულტფილმები 13.50 მხ.ფ. „ჩინური სერვიზი" 15.25 კლიპ-მიქსი 19.00 მხ.ფ. „იოლი ფულები" 20.30 მხ.ფ. „ორმაგი თამაში" 22.05 მხ.ფ. „მზად ყველაფრისთვის" 0.00 მხ.ფ. „მკვლელის წერილი" 1.40 ეროტიკა. ნონ-სტოპი

### საქართველოს ხმა

10.00 ექო 10.15, 18.00 მულტფილმი 11.00, 18.45 ქართ. მხ.ფ. 12.30 დოკ.ფ. 14.15, 16.30, 20.45, 23.15, 1.45 მხ.ფ. 15.45, 20.15 მუსიკა 22.15 ფარდის გახსნამდე 1.00 ტელეფილმი

### იბერია

9.00, 22.00, 23.50 ახალი ამბები 9.10 ბურთი და მოედანი 9.20, 11.00, 11.50, 14.30, 16.55 ძველი ჰანგები 9.25, 19.30 დოკ.სერ. 10.00, 1.30 „ოვაცია" 10.10 მოკ.მხ.ფ. 11.05 სტუდია დიალოგი 12.10 მხ.ფ. „ჩალის ქუდი" 14.35 ნახ.ფ. 15.20 მხ.ფ. „ზაზუნას დღე" 17.00 საბავშვო ფილმი 18.30 მუს.ტალღა 20.00 მხ.ფ. „სერაფინო" 21.35 „თეატრალური ორშაბათი" 22.30 მხ.ფ. „დიდი ტურნე" 0.00 „ნოსტალგია" 0.05 მხ.ფ. „ნათლია III".

# ჰოროსკოპი

## 10 ნოემბრიდან— 15 ნოემბრამდე

### ვერძი

შემოსავალი და ნათესავებთან სტუმრობა გელით. კვირის მანძილზე საქმეებსა და ოჯახს ნუ გაეწევინებით; ყველაფერი მაქსიმალურად, მშვიდად აკეთეთ. კვირის ბოლოს განსაკუთრებული თავშეკავება გმართებთ.

### კურო

კვირის დასაწყისში ჯანმრთელობის გაუარესება და პარტნიორების პრობლემები მიმდინარე საქმეებს ჩამოგაშორებთ. მაგრამ სულ მალე ფინანსურ და სასიყვარულო საქმეებში იმდენად დიდი წარმატება გელით, რომ ამისთვის ყოველმხრივ უნდა მოემზადოთ. დასვენების დღეებში კონფლიქტებს ერიდეთ – მას, შეიძლება, სრულიად მოულოდნელი შედეგებიც კი მოჰყვეს.

### ტყუპები

ამ კვირაში მარტო პირად პრობლემებს კი არ გადაჭრით, გართობასაც მოასწრებთ. სამსახურში ადრე განუხორციელებლად მიჩნეულ საქმეებსაც კი თავს წარმატებით გაართმევთ. სამშაბათ-ოთხშაბათს კონფლიქტებს ერიდეთ. პარასკევს, თუ აუცილებელი არ იქნება, გზას ნუ დაადგებით – გაუთვალისწინებელი სირთულეები შეგხვდებათ.

### კიბო

ეს დღეები რაც შეიძლება მეტი პრობლემის გადასაჭრელად გამოიყენეთ. შვილები გაგახარებენ. მათი წარმატებებით ნამდვილად იამაყებთ. პარასკევს გზას ნუ დაადგებით. შაბათ-კვირას კარგად დაისვენეთ და საინტერესო კომპანიაშიც იმხიარულეთ.

### ლომი

ეს კვირა მეგობრებთან, ახლობლებსა და საყვარელ ადამიანებთან ურთიერთობას დაუთმეთ. ოთხშაბათს ფინანსურ პრობლემებს მოაგვარებთ. ხუთშაბათს ახლობლებს დიდი ხნის დანაპირებს აუსრულებთ. ოღონდ, ამის გაკეთებაზე საკმაო დროის და ენერგიის დახარჯვაც მოგიწევთ. მაგრამ უკან არ დაიხიოთ. თორემ ახლობლების კეთილგანწყობას დაკარგავთ.

### ქალწული

ამ კვირაში ფული დაზოგეთ. რაიმეს შეძენას, თანაც მხოლოდ უმნიშვნელოსას, მხოლოდ შაბათს თუ გინჩევთ. ოთხშაბათი ხელშეკრულებების გასაფორმებლად, სავაჭრო საკითხების გადასაჭრელად და ზემდგომ ინსტანციებთან მოსალაპარაკებლად, ყველაზე სახარბიელო დღე იქნება. პარასკევს ახლობლებს განსაკუთრებული ყურადღების მოეკიდეთ.

### სასწორი

ეს კვირა ახალი საქმეების დასაგეგმად და ძველის განსახორციელებლად მაქსიმალურად გამოიყენეთ. წინააღმდეგობებმა, არამც და არამც, არ შეგაშინონ. ხუთშაბათსა და პარასკევს მაქსიმალურად ფრთხილად იყავით. უცნობ ადამიანებს არ გამოელაპარაკოთ.

### მორიელი

თუ ახლობელთაგან რომელიმესთან ჩხუბი მოგივიდათ, შერიგება ყველანაირად უნდა სცადოთ. შუამავლად ბავშვები ან სხვა ახლობლები გამოიყენეთ. ოჯახურ პრობლემებთან ხუმრობას არ გირჩევთ – ემოციების აფეთქება არ აგცდებათ. სამშაბათს ფულს ნურაფერში დახარჯავთ – ეს დანაკარგების დღეა. დასვენების დღეებში სიყვარულში წარმატებები გარანტირებული გაქვთ.

### მშვილდოსანი

პირადი პრობლემების გადაჭრაში, როგორც უწინ, ამჯერადაც მეგობრები დაგეხმარებიან. მართალია, მათი წინადადებები და საქციელი ყოველთვის როდი მოგწონთ, მაგრამ ზოგიერთ რჩევას ყური მაინც მიუგდეთ. დასვენების დღეები ბევრ საფიქრალს გაგიჩენთ, მაგრამ დრო სახლისთვის, ახლობლებისა და საკუთარ თავისთვისაც უთუოდ უნდა გამონახოთ.

### თხის რქა

სამსახურის საქმეების მოწესრიგებას გირჩევთ. სამომავლო გეგმებიც დააწყეთ. პირად ცხოვრებაში ყველაფერი კარგად იქნება. უყვარხართ და თავადაც შეყვარებული ხართ. დასვენების დღეები ბუნებაში გაატარეთ. მაგრამ შაბათს გზაში მაინც ფრთხილად იყავით.

### მერწყული

პარტნიორებისგან არცთუ სასიამოვნო ცნობებს მიიღებთ. მაგრამ სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემით – მალე ყველაფერი ჩვეულ კალაპოტში ჩადგება. საკუთარი შესაძლებლობები მაქსიმალურად კრიტიკულად შეაფასეთ და ახალი იდეების განხორციელებას ისე შეუდექით. დასვენების დღეებში ემოციებს განწყობილებას ნუ გააფუჭებინებთ.

### თევზები

სამშაბათ-ოთხშაბათს უფროსობასთან ჩხუბს მოერიდეთ. ეს დღეები, საერთოდაც, დიდად როდი გაგახარებთ. ხუთშაბათი-პარასკევი ყველაფრისთვის – სამოგზაუროდ, შემოსავლების მისაღებად თუ საოჯახო საქმეების გადასაჭრელად – ყოველმხრივ სახარბიელო იქნება. პარასკევს ფულის ზედმეტ ხარჯვას მაინც მოერიდეთ.

**... მაგრამ გაგაახალგაზრდავებთ**

გაგისწორებთ ნაოჭებს ყოველგვარი ქირურგიული ჩარევის და სახის გალიაზიანების გარეშე. აგრეთვე მოგაცილებთ ყოველგვარ პრობლემას გამონაყართან დაკავშირებით

ტელ: 76-92-22 მაია. საღამოს საათებში

## ოთარ შუბლაძის ხსოვნას

რა მუხთალი და ხანმოკლეა წუთისოფელი, ჩვენო უმცროსო მეგობარო და ძმისშვილო, ჩვენო ოთარ!

ზაფხულში დიდი სიხარულით ვიზეიმეთ შენი გაბედნიერება, დაოჯახება და დღეს, ქორწილიდან ხუთი თვის თავზე, უკვე შენი ხსოვნისადმი მიძღვნილ წერილს ვწერთ შენი გაუბედურებული დედ-მამის მეგობრები.

ეს რა უბედურება დაატყდა თავს ჩვენს მეგობარს, მამაშენს, ავთოს. ოთხი წლის წინ შენი საფიცარი ძმა, დემონიკა გამოგვეცალა ხელიდან და ახლა შენც გვიღალატე. შენს ძმასთან არჩიე წასვლა. არ ვიცით, როგორ ვანუგეშოთ ჩვენი მეგობარი, ჩვენი ავთო, ორი ვაჟკაცის დამკარგავი მამა. ნუგეშის რა სიტყვები ვუთხრათ დედაშენს, ქ-ნ მარინას და შენს საყვარელ თამუნას, შენს მეუღლეს, რომელსაც განგებამ ასე უდროოდ ჩააცვა თალხები და ფრთამოტეხილი დატოვა.

მძიმეა ჩვენთვის შენი გახსენება. გულის სიღრმეში არც გვჯერა თითქოს, რომ ჩვენს შორის აღარა ხარ. ასე გვგონია, სადღაც შორს ხარ წასული და მალე ჩამოხვალ... ვაი, რომ ფუჭია ეს იმედი. გასულ სამშაბათს სამუდამოდ მივაბარეთ ქართულ მიწას შენი საყვარელი ძმის, დემონიკას გვერდით.

მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის მშობლიური მიწა, ნათელში იყავ აწ და მარადის ჩვენო უმცროსო მეგობარო და ძმისშვილო, შვილო ოთარ!

სერგო ჯანაშია, მურთაზ ჩიქოვანი, ჯოტი გელენავა

## კაიფვორდი



თარაზულად: 3. პატარა წიგნი „შურას ბროშის" შესახებ; 6. იმ გოგოს სახელი, „ყაყაჩო" რომ უყვარს (რუს. კავშ.); 8. ფანქარი, რომელსაც „ფლობს ოსტატი" (რუს. ნაწ. კავშ.); 11. კუპრში „ჩასატანებელი" ავი სული; 12. „ელას და ადას" სამშობლო; 13. „კაზინოში" პოპულარული ნამცხვარი; 14. „მისაქსევი" საბუთი; 15. ყველაზე „მშვიდობიანი" არაბი (რუს. კავშ.); 17. „სტატიების ოსი" მცოდნე; 18. „ამაყი" ხმალი (რუს. კავშ.); 19. „პეტიას" მადა „ტიტინში"; 22. „გასაცრელი" ნემსი დაავადების ასაცილებლად; 23. „ომის" მოყვარული ნადირი; 24. მელას „მუდმივი მოწმე"; 25. ცემენტისათვის „ძალის" მიმცემი (რუს. კავშ.); 27. ხომალდი, სადაც „კიბოს კეტით" კლავენ (რუს. ნაწ. კავშ.); 29. ქარიშხალი, რომელიც „შტოებს ორმოში" ყრის; 33. შენობა, რომელიც ასტრონომმა „ვატომ სერი ობისგან ორჯერ" გაწმინდა; 34. „სატირალი" დაცინვა; 35. ყველაზე „კარგი საქონელი"; 36. „ლოგიკური პედიატრი"; 37. მარგარინი, რომლითაც „ინამ ვიტრინა" მორთო.

შვეულად: 1. „ტეტია პაშას" საყვარელი საჭმელი; 2. რისი „პედალიც დაკარგა „ოსმა ველზე"; 3. „ბისზე" საჭმელი „ვიტათი" გამომცხვარი ნამცხვარი „კვირაობით"; 4. „ლერიმ" გააკრა და „გაშპა"; 7. „დაკოდილების" სოფელი; 8. „ფართო ხალიანი" ციტრუსი; 9. „ომში ზაფხულობით" საჭმელი ერბოკვერცხი (რუს. ნაწ. კავშ.); 10. „ოპიუმი ხალხისათვის"; 16. გერმანიის მხარე, სადაც ბევრი „რუსია"; 20. იროდიონის ომამდელი პროფესია (ფილმ.კავშ.); 21. ცხოველების საჭმელი, რომელიც „ლოსს ძალას" აძლევს (რუს.კავშ.); 24. ხელსაწყო, რომლითაც „კომაში პასს" აწოდებ; 26. „ასი ატმის" ასაფხეკი; 27. მდინარე, რომელიც „ონიდან რიოში" მიედინება; 28. „ოლას ტორებიანი" ჩიტი; 29. „ხამი" საწამლავი, რომლის სახელიც „შ"-ზე იწყება; 30. „სარგებლის" მომტანი ქალი; 31. „კორპუსის საულვაშე" მასალა (რუს. ნაწ. კავშ.); 32. რაიონი, სადაც ყველას აქვს „ვანა".

## მას სამოცდაათი წელი შეუსრულდებოდა

საბჭოთა ხელისუფლებამ და შესაბამისმა იდეოლოგიამ რომ ქართული ისტორიოგრაფია მოათვინიერა, ეს საყოველთაოდ არის ცნობილი. დიდად საბედნიეროდ, ისტორიკოსთა შორის იყვნენ გამონაკლისები, რომლებიც ეთაკილებოდათ ჩვეულებრივი გზით სვლა და ცდილობდნენ ობიექტური ჭეშმარიტებისათვის ემსახურათ. ასეთთა შორის იყო ერთი წლის წინათ გარდაცვლილი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი უშანგი სიდამონიძე.

ბ-ნ უშანგის სახელი ფრიად გახმაურდა 70-იან წლებში. საქმის არსი შემდგომშია: 1970 წელს მან გამოაქვეყნა წიგნი: „საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია (1917-1922წწ.)". ავტორმა აჩვენა ისტორიის ამ გარდამტეხი ხანის გააზრება ერთი მხრივ ბოლშევიკ-მარქსისტთაგან ფილიპე მახარაძისა და მავან სხვათაგან მოყოლებული და მეორე მხრივ მენშევიკ-მარქსისტთა და საერთოდ, არამარქსისტთაგან. გამოიკვეთა, რომ უკანასკნელნი აშკარად აღემატებოდნენ პირველთ აზროვნებითა და ჭეშმარიტების წვდომისაკენ სწრაფვით. გარდა ამისა, ოფიციალურად იქნა სააშკარაოზე გამოტანილი ისეთ პიროვნებათა სახელები და ნააზრევი, რომლებზედაც საბჭოურ ისტორიოგრაფიაში და იდეოლოგიაში საერთოდ ტაბუ იყო დადებული. წიგნში ხაზი გაესვა იმ გარემოებასაც, რომ 1917-18 წლების ჩვენს ისტორიაში წინა პლანზე მთელი სიმწვავით წამოიწია ეროვნულმა საკითხმა და ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის აუცილებლობამ. ამდენად, ის, რაც ვერ შეაგონა დიდმა ილიამ, კერძოდ, ქართველ მენშევიკებს, ამჯერად ამათაც კი გაიცნობიერეს. მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, იმ ხანის საქართველოში ბოგინობდნენ ქართველი ბოლშევიკებიც, რომლებმაც ეს ელემენტარული ჭეშმარიტება ვერ გაიგეს. როგორც ვიცით, ისტორიამ იმ პერიოდში პირველთა სასარგებლოდ განსაჯა.



აღნიშნული მომენტების წინ წამოწევა, ცხადია, არაფრად ეპიტნავებოდათ ქართველ შუბლმაგარ ისტორიკოსებს, რომელთა მცდელობითაც გაუქმებული იქნა ბ-ნ უშანგი სიდამონიძის მიერ დაცული სადოქტორო დისერტაცია. შეგახსენებთ იმასაც, რომ როდესაც (1972 წელს) სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დადგენილება მიიღო თბილისის პარტიული ორგანიზაციის თაობაზე, ე.წ. საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობამ ჯოხი გადატეხა ბ-ნ უშანგისა და ბ-ნ აკაკი მენაბდის ასევე 1970 წელს გამოსულ წიგნებზე, როგორც ნიმუშებზე პარტიის იდეოლოგიური მუშაობის სისუსტისა.

ერთი სიტყვით, თავი იჩინა ტოტალიტარული სახელმწიფოს სუსხმა ურჩი ისტორიოგრაფიის წინააღმდეგ. მაგრამ ეს ურჩობა ადამიანის [illegible] ძლიერების გამოხატულება გახლდათ და დღეს ქართველი ისტორიკოსები ამ ფაქტით დიდად ვამაყობთ.

ბ-ნი უშანგი ნამდვილად გამოირჩეოდა პატრიოტული შეგნებითა და შემართებით. მსგავსი პატრიოტიზმი მხოლოდ სოციალური გარემოთი და აღზრდით როდი ყალიბდება, არამედ გენეტიკურად მოდის. ვიტყვით იმასაც, რომ ასეთი პატრიოტიზმის გარეშე ადამიანს ისტორიკოსის პროფესიაზე პრეტენზიაც კი არ უნდა ჰქონდეს.

განსვენებული დიდად გახარებული იყო საბჭოთა იმპერიისა და კომუნიზმის დანგრევით და აქედან გამომდინარე, საქართველოს დადგომით დამოუკიდებლობის გზაზე. იგი ელოდა იმ დღესაც, როცა საქართველო საბოლოოდ განთავისუფლდებოდა და არა მხოლოდ რუსეთისაგან, არამედ, კერძოდ, კომუნისტური წარსულის მძიმე სოციალურ-ფსიქოლოგიური მემკვიდრეობისგანაც. ეს ოცნებები ჩვენი, ცოცხლების ოცნებებადაც რჩება.

რვა ნოემბერს მას 70 წელი შეუსრულდა. დიდად სამწუხაროდ, იუბილეს აღვნიშნავთ აწ უკვე მიცვალებულის მიმართ, მაგრამ გვამედებს ის გარემოება, რომ ცხოვრების წესითა და საქმიანობით ბ-ნი უშანგი სიდამონიძე მრავალთა ხსოვნაში კვლავინდებურად განაგრძობს სიცოცხლეს.

გურამ ყორანაშვილი

მთავარი რედაქტორი სერგო ჯანაშია

რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

გაზეთის ინდექსი 66447

შ.პ.ს. გაზეთი „საქართველო" რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444

ტელ.: რედაქტორი: 93-20-36, რედაქცია: 93-18-41

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გამოქვეყნებული მასალებზე პასუხს ავტორები აგებენ.